

ყვავილები პარლამენტის შენობასთან

A2



პრესომბუდსმენი

A3



„პოკერი"

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 28 ნოემბერი, 2005 წელი. №263 (1163)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### დევნილების გამოსახლების ესტაფეტა რეგიონებში გადავიდა

ახალციხეში, პროფესიული ლიცეუმის მეოთხე სართულზე მცხოვრებ დევნილთა გამოსახლების საკითხი დღემდე დავის საგნად რჩება. სამხარეო პროკურატურა დევნილების სასამართლოს ძალით გამოსახლებით, ხოლო დევნილები პროტესტის უკიდურესი ფორმით იმუქრებიან.

A2

## რევიუ

### საიუბილეო კვირა „წითელ" ეკრანზე

send to list – ასეთი პროგრამა აქვს თითქმის ყველა მობილურ ტელეფონს, რომელიც ერთსა და იმავე ტექსტს ერთდროულად რამდენიმე მისამართზე აგზავნის. საიუბილეო კვირის დასაწყისში, წამყვან ტელეარხებზე, რომელთაც მეტ-ნაკლებად ჰყავს მაყურებელი, ამგვარი შეტყობინება მივიდა: – "ამ კვირაში ვერთობით და ვზეიმობთ".

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 28/11 | 29/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 17 |
| ტყიბული | 18 | 21 |
| სოხუმი | 19 | 21 |
| დმანისი | 12 | 13 |
| გორი | 13 | 16 |
| ონი | 11 | 14 |
| ზუგდიდი | 21 | 23 |
| ახმეტა | 16 | 16 |
| გაგრა | 20 | 17 |
| სამტრედია | 21 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7974 |
| ევრო | 2.1136 |
| გირვანქა სტერლ. | 3.0883 |
| რუბლი | 0.0624 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პრესომბუდსმენი | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ეკონომიკა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# პარლამენტი სამოთხე ზარმაცებისთვის

გიორგი ასანიშვილი

25 ნოემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომას მიხეილ მაჭავარიანი უძღვებოდა. როდესაც კენჭისყრის პროცედურები დასრულდა, ვიცე-სპიკერმა გამოაცხადა, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონპროექტის განხილვა უნდა დაწყებულიყო. ამის თქმა და დეპუტატების წამოშლა ერთი იყო. მიხეილ მაჭავარიანი შეცბა. **"სად მიდიხართ, ბატონებო?! ასეთი მნიშვნელოვანი კანონი პარლამენტს, უკვე რამდენიმე წელია, არ მიუღია. გთხოვთ, ნუ გახვალთ დარბაზიდან,"** - მიმართა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატებს, რომლებიც კარისკენ მიიწევდნენ. თხოვნამ არ გაჭრა: რამდენიმე წუთის შემდეგ სხდომათა დარბაზს 30-40 პარლამენტარიღა შემორჩა.

გაგრძელება A2 გვერდზე



ასე გამოიყურება დარბაზი მნიშვნელოვანი კანონპროექტების განხილვისას.

# კოკოითის კრიმინალური კლანი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა სქემა, რომელიც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თვითმარქვია ხელისუფლების წარმომადგენელთა და მათ დამხმარე პირთა დანაშაულებრივ საქმიანობაში მათ ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს. გასაკვირი არ გახლავთ, რომ ამ კრიმინალური სქემის სათავეში თვითმარქვია პრეზიდენტი ედუარდ კოკოითია მოქცეული, რომლის დანაშაულთა შორის გამოყოფილია რეკეტი, კონტრაბანდა, ადამიანთა გატაცება, კორუფცია და პოლიტიკურ ოპონენტთა დევნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ცხრილი შეიცავს კრიმინალურ საქმიანობაში ჩართული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ჩამონათვალს და იმ დანაშაულებრივ სფეროებს, რომლებსაც ეს ადამიანები კურირებენ.

გაგრძელება A4 გვერდზე



კრიმინალური სქემის სათავეში "პრეზიდენტი" კოკოითი.

# ფარსად მონათლული არჩევნები და ჩეჩნეთის ახალი კანონმდებლები

ნანა ნასყიდაშვილი

*ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გუშინ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს 24 ათასამდე პოლიციელი და სამხედრო მოსამსახურე იცავდა. დაცვის უპრეცედენტო ზომებმა შედეგი ნამდვილად გამოიღო. გროზნოდან მშობლიური ქალაქისკენ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მიმავალი რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის განკუთვნილი ნაღმები გზატკეცილ "კავკაზ"-ზე დროულად აღმოაჩინეს. ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციათა მიერ ფარსად მონათლული ჩეჩნეთის რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



კრემლის მცდელობის მიუხედავად, ჩეჩნეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ჯერჯერობით წარმოუდგენელია.

# როგორი იქნება საქართველოს მთავარი ფინანსური დოკუმენტი 2006 წელს?

*2006 წლის პროექტის თანახმად, გაისად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 12 პროცენტით იზრდება. თუმცა, ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული ზრდა, ძირითადად, მოგების გადასახადის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ცენტრალურ ბიუჯეტში დაბრუნებითაა გამოწვეული. რეალურად კი მომავალი წლის კონსოლიდირებული ბიუჯეტი მხოლოდ სამი პროცენტით იზრდება. მთავრობის პრიორიტეტები 2006 წელსაც განათლება, თავდაცვა და ენერგეტიკა რჩება. თუმცა, ენერგეტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარების მიუხედავად, მომავალი წლის ბიუჯეტში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დაფინანსება 14 პროცენტით მცირდება.*

დიანა ჩაჩუა

2006 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 3 164,5 მილიონ ლარს შეადგენს და 2005 წელთან შედარებით, 12 პროცენტით არის გაზრდილი. თავის მხრივ, მომავალი წლიდან დაახლოებით 150 მილიონი ლარით მცირდება თბილისის ბიუჯეტი. ამას საგადასახადო კოდექსში შეტანილი ის ცვლილება იწვევს, რომლის მიხედვითაც, მოგების გადასახადი 2006 წლიდან, ადგილობრივი ბიუჯეტების ნაცვლად, მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება. ფინანსთა სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას ექსპერტთა ერთ ნაწილი თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის შეზღუდვად აფასებს. თავად ცვლილების ინიციატორები კი ამის აუცილებლობას მოგების გადასახადის შინაარსით ხსნიან. შედეგად, ექსპერტების შეფასებით, მომავალი წლის კონსოლიდირებული ბიუჯეტი მხოლოდ სამი პროცენტით იზრდება. მეტიც, მათი განცხადებით, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა ნაწილობრივ ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე დაიგეგმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# „დაკოდილი" დეპუტატები

თამარ დვალი

**"მე არ მინდა, "დაკოდილი" დეპუტატი ვიყო,"** - ეს განცხადება რამდენიმე ხნის წინათ საკრებულოს ერთ-ერთმა დეპუტატმა ზურაბ გორდელაძემ გააკეთა. იგი მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსის მამუკა ახვლედიანის მიერ შემოღებულ კოდირების სისტემას გულისხმობდა. ახალი წესების შესაბამისად, საკრებულოს დეპუტატს მასთან მისული მოქალაქის მერიაში შეყვანა ეკრძალება. საშვის დასაშვებად დეპუტატმა საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს მდივანს, კომისიების თავმჯდომარეებს ან მათ მოადგილეებს უნდა მიმართოს. აპარატის უფროსი მიიჩნევს, რომ ახალი სისტემის შემოღებით დეპუტატებს მუშაობაში ხელი არ ეშლებათ. ყოველ შემთხვევაში, მისთვის არც ერთ დეპუტატს პრეტენზიით არ მიუმართავს.

**"რადგანაც მერიაში საშვის დაშვება უცხო პირების მიერ ხდებოდა, გადავწყვიტეთ, კოდირებული სისტემა შემოგვეღო. საშვთა ბიუროში ჩემი სახელით ნებისმიერ მოქალაქეს რომ დაერეკა, საშვის დაშვებას შეძლებდა. ახლა ყველას თავისი კოდი აქვს და თუკი საშვის დამშვები კოდს არ მიუთითებს, ისე საშვს ვერ დაუშვებს,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსმა მამუკა ახვლედიანმა.

ოპოზიციური ფრაქციის წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ დედაქალაქის თვითმმართველობა თანდათან სამოქალაქო საზოგადოებისთვის მიუწვდომელ ორგანოდ იქცა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქუთაისში მოსახლეობას ვალებს „აწერენ"

მაია მეცხავრიშვილი
*ქუთაისიდან*

ორიოდე კვირის წინ ქუთაისში ვიზიტად მყოფმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოსახლეობას პირობა მისცა, რომ ელექტროენერგიით მომარაგების მხრივ წლევანდელ ზამთარში პრობლემები არ შეექმნებათ. ამის მიუხედავად, თითქმის ორი თვეა ქუთაისის მოსახლეობის დიდ ნაწილს ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდება. დღეის მონაცემებით, ქუთაისში 50-ზე მეტი ტრანსფორმატორია გამორთული. მოსახლეობის პროტესტით შეწუხებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოქმედება გადაწყვიტა.

ქუთაისის საკრებულომ საქართველოს ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას (სემეკს) სპეციალური წერილით მიმართა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსეს) მხრიდან მომხმარებელთა უფლებების დარღვევის გამო, რაც, საკრებულოს დეპუტატთა მტკიცებით, ქუთაისში გადამხდელ და არგადამხდელ აბონენტთა განუსხვავებლობაში გამოიხატება.

**"ნინოშვილის ბაზრის ხელმძღვანელობა ყოველთვიურად 800 ლარს უხდის ენერგოკომპანიას და მაინც არა აქვთ შუქი. რას ერჩიან ამ ხალხს? ან კუპრაძის ქუჩაზე ჯუნგლები ცხოვრობენ, რომ ორი თვეა ჩაბნელებული ჰყავთ ეს ადამიანები?!"** - აცხადებს საკრებულოს წევრი ალეკო ბაძგარაძე "24 საათთან" საუბარში.

**"სხვას ვერაფერს ვუკეთებთ ჩვენ ხალხს, სამუშაო ადგილებით ვერ უზრუნველვყოფთ და ამიტომ მივმართავ ქალაქის მერს, ის მაინც ვქნათ, რომ გადამხდელს მივცეთ დენი. ბოლოს და ბოლოს, ეს პოლიტიკური საკითხია, რომელიც, პირველ რიგში, ცენტრალურ ხელისუფლებას ურტყამს,"** - საკრებულოს წევრის ნოდარ ჩიხლაძის ამ მიმართვას ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე ზოგადი განცხადებით გამოეხმაურა: **"ძალიან ცუდი განცდაა, როცა არ იმსახურებ და გჩაგრავენ. თუკი ასეთი განცდა ვინმეს ექნება ამ ქალაქში, ამას ჩემს დანაშაულად ჩავთვლი."**

საკრებულომ სემეკ-ს თხოვნით მიმართა, რათა ამ უკანასკნელმა სგსე დაავალდებულოს, გამოაქვეყნოს ქუთაისში განსახორციელებელი პროგრამა. საკრებულოს მიმართვას მარეგულირებელი კომისიისადმი ქუთაისის მერია არ მიერთებია. სამაგიეროდ, გიგა ჩოგოვაძე ენერგოკომპანიის გარანტად დადგა საკრებულოს წინაშე, როცა საქმე "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ვადაგადაცილებული ვალის რესტრუქტურიზაციაზე მიდგა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## დევნილების გამოსახლების ესტაფეტა რეგიონებში გადავიდა

*ახალციხეში, პროფესიული ლიცეუმის მეოთხე სართულზე მცხოვრებ დევნილთა გამოსახლების საკითხი დღემდე დავის საგნად რჩება. სამხარეო პროკურატურა დევნილების სასამართლოს ძალით გამოსახლებით, ხოლო დევნილები პროტესტის უკიდურესი ფორმით იმუქრებიან.*

ცაცულინა მალაზონია
*ახალციხიდან*

მხარის საოლქო პროკურატურაზე ლიცეუმის შენობის უზუფრუქტით გადაცემის შესახებ კორპუსის მეოთხე სართულზე 1992 წლიდან მცხოვრებმა შვიდმა ოჯახმა, ა. წ. ზაფხულში, ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფროსის თენგიზ ზედგინიძისაგან გაიგო. მალე ალტერნატიული ვარიანტიც გამოიძებნა და დევნილებს შენობის დაცლისკენ მოუწოდეს.

**„შემოგვთავაზეს ორი შენობა - რაიონული საავადმყოფოს ტერიტორიაზე, პროზექტურის გვერდით, რომელიც ნამდვილი სანაგვეა, და დაბა ვალეს საუკუნის წინ მიტოვებული საბავშვო ბაღი. ქალაქიდან ვალეში გადასვლაზე უარი ვთქვით, რადგან აქ დასაქმების, ბავშვების სკოლაში სიარულის პრობლემაც მოგვარებული გვაქვს. საავადმყოფოში გადასვლით ჩვენი პირობები უარესდებოდა“,** - ამბობს აფხაზეთიდან დევნილი მაია ბაბლუანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორმა დავით ნარიმანიშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: **„პროკურატურას მეოთხე სართული არ სჭირდება, მაგრამ შენობაში, სადაც გარდა პროკურატურისა, გადმოსასვლელია სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, მეოთხე სართულზე დევნილების ცხოვრება ცოტა უხერხული რომ არის, ამას ალბათ ყველა ხვდება. მათი საცხოვრებელი პირობების გაუარესებაზე საუბარი არ შეიძლება. რამდენიმე შეთავაზება იყო, მაგრამ ამ ხალხმა მოითხოვა ბინა აუცილებლად ქალაქის ცენტრში. კი, ბატონო, შევთავაზეთ პროკურატურის შენობა, რაზეც უარს აცხადებენ. ამბობენ, ჩვენ აქ ნაკვეთები გვაქვს, ძროხები და ქათმები გვყავსო. ამის საშუალება გარეუბანშია და გარეუბანში ცხოვრება კი არ სურთ“.**

**„დევნილები ლიცეუმის მეოთხე სართულზე კომპაქტურად ცხოვრობენ,** - განმარტავს ადვოკატი კახა მაღრაძე, - **იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ უნდა მოხდეს კომპაქტურად დასახლებული ობიექტიდან დევნილების გამოსახლება, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, მათ შორის: თუ გამოიყოფა საცხოვრებელი ფართობი, რომლის მიხედვითაც არ მოხდება დევნილთა პირობების გაუარესება. თუ საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის შემდეგაც დევნილები გამოსახლების წინააღმდეგნი იქნებიან, მაშინ დავა სასამართლოს გზით უნდა გადაწყდეს. პროკურატურას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რომ დევნილები მათივე თანხმობის გარეშე გამოასახლოს“.**

საოლქო პროკურორი კი ვარაუდობს, რომ დევნილებს იმედი აქვთ, ლიცეუმის შენობიდან გამოსახლების სანაცვლოდ კომპენსაციას მიიღებენ.

**„საერთო ჯამში, ამ ხალხს ფული უნდა, როგორც თბილისში გადაუხადეს დევნილებს კერძო კომპანიებმა, მაგრამ იქ კერძო ინვესტორი იყო და მის ინტერესებში შედიოდა კომპენსაციის გადახდა, აქ ამ შენობისადმი ინტერესი სახელმწიფოს აქვს და არ მესმის, რატომ ხდება სიტუაციის დაძაბვა მათი მხრიდან?“** – კითხულობს დავით ნარიმანიშვილი.

ადვიკატის შენიშვნას, რომ ყოველნაირი შეთავაზება დევნილებთან სიტყვიერად ხდება და არა წერილობით, პროკურორი შემდეგნაირად პასუხობს: **„თუ შეთანხმებას სიტყვიერ დონეზე ვერ მივაღწიეთ, ხელშეკრულება როგორღა გავაფორმოთ“?**

აფხაზეთიდან დევნილმა ფიქრია ნარსავიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: **„ფული არასოდეს მოგვითხოვია. აქ ერთი ოჯახივით ვართ. ერთმანეთის გარდა, სხვა ამ მხარეში პატრონი არ გვყავს. 13 წელია აქ ვცხოვრობთ, მიწა გვაქვს, ბაღები გავაშენეთ, ჯიხურები ჩავდგით, ეს ყველაფერი კი ფული ნამდვილად ღირს. თუ სასამართლო უსამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, თბილისში წავალთ, მივმართავთ პარლამენტს, დეპუტატი არ დარჩება ჩვენგან შეუწუხებელი“.**

2004 წლის 25 ოქტომბერს დადებულ უზუფრუქტის ხელშეკრულებას ხელი ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფროსმა თენგიზ ზედგინიძემ და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორმა დავით ნარიმანიშვილმა მოაწერეს.

შენობის უზუფრუქტით გაცემის საფუძველი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებაა, მინისტრის პირველი მოადგილის თურნავას ხელმოწერით. თუმცა გადაცემულია თუ არა აღნიშნული შენობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსიდან ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, ამის დამამტკიცებელი საბუთი, მიუხედავად ადვოკატის მოთხოვნისა, ჯერჯერობით საქმეში არ დევს.

**„აქ დარღვეულია კანონი, საოლქო პროკურორს სახელმწიფო ქონების აღრიცხვის ახალციხის განყოფილებასთან უზუფრუქტის ხელშეკრულების დადების უფლება არ ქონდა. რადგან იურიდიული პირი არის არა საოლქო, არამედ საქართველოს პროკურატურა,** - ამბობს ადვოკატი კახა მაღრაძე, - **უზურფრუქტის ხელშეკრულება დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. ჩვენ ამის შესახებ ოქტომბრის ბოლოს მივწერეთ არა მხოლოდ საოლქო, არამედ გენერალურ პროკურატურასაც.“**

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა პოზიციის დათმობას არ აპირებს. **„თუ ნებით არ გამოვლენ, მოგვიწევს სასამართლოს ძალით ამ ხალხის გამოსახლება, რაც ისევ და ისევ მათ დააზარალებს. ასე ნამდვილად არ მინდოდა, ბოლოს კი ისე გამოვა, რომ ისინი მაინც დატოვებენ შენობას,“** - აცხადებს დავით ნარიმანიშვილი.

## საქართველოში ტუბერკულოზის შემთხვევები მატულობს

*ტუბერკულოზით დაავადებული 6 000 ამბულატორიული პაციენტისათვის საქართველოს 11 რეგიონში სასურსათო დახმარების პროგრამა დაიწყო. პროგრამა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო სასურსათო პროგრამამ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გლობალურ ფონდთან და საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან ერთად დაიწყო.*

თამარ დვალი

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, WFP-ი ამბულატორიულ პაციენტებს სასურსათო ამანათებით ნახევარი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. თითოეული პაციენტი ამანათს მხოლოდ დისპანსერში ვიზიტის შემდეგ სამედიცინო პერსონალის მიერ რეგისტრირების შემდეგ მიიღებს.

სიღარიბე, არასრულფასოვანი კვება, ჯანდაცვის სისტემის არასათანადო დაფინანსება ის ძირითადი მიზეზებია, რომლებიც ტუბერკულოზის გავრცელებას განაპირობებს. თითქმის 40 წლის განმავლობაში ტუბერკულოზის შემთხვევების კლების ფონზე, ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამ დაავადების ზრდის ტენდენცია შეინიშნება. **"ყოველ 100 000 მოსახლეზე საქართველოში ყოველწლიურად დაავადების 88 ახალი შემთხვევა რეგისტრირდება, რის გამოც საქართველო იმ ქვეყნების რიგშია, რომელთათვისაც ტუბერკულოზი უპირველეს პრობლემას წარმოადგენს,"** - განაცხადა “24 საათთან” საუბრისას WFP-ს საქართველოს ოფისის დირექტორმა ინგე ბროერმა.

როგორც საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორმა არჩილ სალაყაიამ აღნიშნა, მკურნალობის კურსის წყვეტა (რომლის მაჩვენებელი საქართველოში 17 პროცენტს აღწევს) ტუბერკულოზთან ბრძოლის პროგრამის ყველაზე სუსტი რგოლია. მკურნალობის კურსის ვადამდელი შეწყვეტა ავადმყოფებში წამლებისადმი გამძლე (რეზისტენტული) ტუბერკულოზის განვითარებას იწვევს. **“ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც მრავალი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს წინაშეც მთელი სიმწვავით დგას,”** – აღნიშნა სალაყაიამ.

რადგანაც ტუბერკულოზით დაავადება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება სიღარიბეს, პაციენტთა სურსათით უზრუნველყოფა მკურნალობის სრული კურსის განხორციელებაში დიდ როლს ასრულებს. სწორედ ამიტომ, WFP-ი 183 ტონა ხორბლის ფქვილს, 17 ტონა მცენარეულ ზეთსა და 37 ტონა შაქარს გაანაწილებს გლობალური ფონდისა და ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა “DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში.” **"ავადმყოფებში ტუბ-საწინააღმდეგო წამლებისადმი რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარება იმ თვალსაზრისითაც არის საშიში, რომ ამით ისინი არა მხოლოდ საკუთარ თავს ვნებენ, არამედ ოჯახის წევრებსა და გარშემომყოფ ადამიანებს დაინფიცირების საფრთხეს უქმნიან,"** - აღნიშნა არჩილ სალაყაიამ. **"ჩვენი პრიორიტეტია, ავადმყოფებს ხელი შევუწყოთ მკურნალობის კურსის ბოლომდე მიყვანაში,"** - დასძინა მან.

პროექტის ღირებულება 153 000 აშშ დოლარია და ის გლობალური ფონდისა და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მიერ არის დაფინანსებული.

# ყვავილები პარლამენტის შენობასთან

საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში და თვითმმართველობის ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები პარლამენტის წინ თეთრი და წითელი ყვავილების მიტანით გააპროტესტა.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მისთვის ორივე კანონში შეტანილი ცვლილებები მიუღებელია, პროტესტის ფორმა კი - უწყინარი.

მისივე შეფასებით, იმ ვითარებაში, როცა საქართველოში ყოველდღიურად ირღვევა სამართალი, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები ამ სფეროში ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს.

რაც შეეხება თვითმმართველობის შესახებ კანონს, იგი "პრაქტიკულად, კლავს ქართულ სოფელს" და "მისი მიღება ქართული სოფლისათვის დამღუპველი აღმოჩნდება," - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილის განმარტებით, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული კანონი თვითმმართველობის შესახებ ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიას, არ არის ორიენტირებული სოფლის ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებაზე. **ინტერპრესნიუსი**



ინტერპრესნიუსი

*სალომე ზურაბიშვილმა მორიგი აქცია მოაწყო.*

## „დაკოდილი“ დეპუტატები

პირველი გვერდიდან

**"იმისათვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონიტორინგი ვაწარმოოთ, აუცილებელია მოწესრიგებული იყოს ინფორმაციის საჯაროობის საკითხი. სამწუხაროდ, მერიასა და საკრებულოში, ინფორმაციის მიღებისას, დიდ პრობლემებს ვაწყდებით,"** - აღნიშნა “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” წევრმა ლალი ჩხეტიამ. მისივე თქმით, როდესაც ინფორმაციის მისაღებად კანცელარიის განყოფილებას მიმართავენ, წერილები ადრესატამდე თითქმის ვერასდროს აღწევს და იკარგება. **“ჩვენ დიდი ხანი დაგვჭირდა იმისთვის, რომ გაგვერკვია, თუ ვინ იყო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი. როდესაც ეს გავარკვიეთ, თავად პასუხისმგებელმა პირმა არ იცოდა, რა ფუნქციები და მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული,”** – აღნიშნა ჩხეტიამ.

არასამთავრობოების მტკიცებით, მათთვის საკრებულოს სხდომებზე დასწრება და გადაწყვეტილებების პროცესში ჩართვა თითქმის შეუძლებელი გახდა.

თავად ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" უახლოეს მომავალში ამ კუთხით კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ, მონიტორინგის ჩატარებასა და მისი შედეგების გამოქვეყნებას გეგმავს.

**“ჩვენი მიზანია, მნიშვნელოვანი საკითხები რეკომენდაციების სახით ჩამოვაყალიბოთ და ხელისუფლებას მივაწოდოთ. ამას საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გარეშე ვერ შევძლებთ. თუკი რეკომენდაციების ფორმა არ გაჭრის, მაშინ სხვა გზებს მოვნახავთ. რადგან დღეს საკრებულოს უმრავლესობა ოპოზიციის რჩევებს არაფრად აგდებს და საზოგადოებასაც არაფერს ეკითხება, საჭიროა არასამთავრობოების უფრო მეტი აქტიურობა,”** – განაცხადა ფრაქცია “დემოკრატიული ფრონტის” თავმჯდომარემ ბიძინა გეგიძემ.

## პარლამენტი - სამოთხე ზარმაცებისთვის

პირველი გვერდიდან

ეს ფაქტი საკმაოდ სიმპტომატურია და გამონაკლის შემთხვევას ნამდვილად არ წარმოადგენს. იგივე სურათია მაშინაც, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის - სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი იხილება. ასე ხდება მაშინაც, როდესაც განსჯის საგანს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, “ეროვნულ უმცირესობათა შესახებ” ევროპული ჩარჩო-კონვენცია, კანონპროექტი “ზოგადი განათლების შესახებ” და სხვა სტრატეგიული, უდიდესი სახელმწიფოებრივი დატვირთვის მატარებელი საკანონმდებლო აქტები.

თავიანთი მოვალეობის (აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა) მიმართ დეპუტატების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: მათ შორის, პირველ რიგში, ხაზგასასმელია პროფესიონალიზმის დეფიციტი - პარლამენტარები ცუდად იცნობენ იმ სფეროებს, რომლებსაც ესა თუ ის კანონპროექტი ეხება და მათი ინდიფერენტულობაც, ალბათ, აქედან უნდა მომდინარეობდეს. ამ ვარაუდს ამყარებს თუნდაც ის, რომ საკომიტეტო მოსმენებსა თუ პლენარულ სხდომებზე ზოგჯერ დეპუტატები ისეთ შეკითხვებს სვამენ, ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, საერთოდ თუ გადაუფურცლავთ განსახილველი დოკუმენტი.

დეპუტატების პასიურობის და სხდომებისადმი მათი გულგრილობის კიდევ ერთი მიზეზი, შესაძლოა, ისიც არის, რომ არ ხდება რიგითი პარლამენტარის აზრის გათვალისწინება: ამა თუ იმ კანონპროექტის ბედს რამდენიმე ადამიანი კულუარებში წინასწარ წყვეტს და, ამდენად, საჯარო სხდომებზე განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა სახელისუფლებო გუნდის ლიდერების მიერ შეიძლება “შიდაპარტიული დისციპლინის დარღვევად” შეფასდეს.

კომიტეტის თუ პლენარული სხდომებისადმი “გულაცრუების” ერთ-ერთი მიზეზი პარლამენტის რეგლამენტშიც არის საძიებელი. მეტიც, საკანონმდებლო ორგანოს “შიდა კონსტიტუცია” დეპუტატების სიზარმაცეს ერთგვარ სტიმულსაც კი აძლევს. პარლამენტარს მხოლოდ რეგისტრაციისა და კენჭისყრის დროს მოეთხოვება სხდომაზე ყოფნა. ანუ, სავსებით საკმარისია, რომ მან სამსახურში დღეში, სულ რაღაც, 15-20 წუთით შეირბინოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თვეში, მაქსიმუმ, რვა პლენარული სხდომა და ოთხი საკომიტეტო მოსმენა იმართება, გამოდის, რომ ხალხის რჩეული პარლამენტში თვეში მხოლოდ 6 საათს გაატარებს და მაინც დისციპლინირებულ დეპუტატთა რიგებში იქნება.

თუმცა, 6-საათიანი სამუშაო თვეც კი ბევრისთვის მძიმე დატვირთვაა. ყოველ შემთხვევაში, 223-კაციან პარლამენტში სისტემატურად არსებობს კვორუმის პრობლემა. ნათქვამის საილუსტრაციოდ გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს პარლამენტის პლენარული სხდომების ოქმებიდან:

“2005 წლის 15 სექტემბერი, 11 საათი და 05 წუთი, რეგისტრაცია გაიარა 114-მა დეპუტატმა, კვორუმი – 118.

“27 სექტემბერი, 16 საათი, რეგისტრაცია გაიარა 106-მა დეპუტატმა, კვორუმი – 118. 35 წუთის შემდეგ ჩატარდა განმეორებითი რეგისტრაცია”...

კვორუმი არ იყო 11, 12 და 28 ოქტომბერს დილის სხდომებზე ჩატარებული პირველი რეგისტრაციის დროსაც... ანუ სექტემბერ-ოქტომბერში გამართული 10 პლენარული სხდომიდან ხუთჯერ დეპუტატების ნახევარზე მეტმა სამსახურში რამდენიმე წუთით შევლაც კი “ვერ მოახერხა”.

არადა, “24 საათის” თხოვნით პარლამენტის შესაბამისი სტრუქტურის მიერ მომზადებული ოფიციალური ცნობა იუწყება, რომ საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო, სექტემბერ-ოქტომბერში ხელფასის 10 პროცენტი დაქვითული აქვს... 17 დეპუტატს.

როდესაც 223 პარლამენტარიდან პლენარულ სხდომას მხოლოდ 110-115 ესწრება და არდამსწრეთაგან მხოლოდ 17 ისჯება, გამოდის, რომ დაახლოებით 100 დეპუტატი სხდომას “საპატიო მიზეზით” აცდენს.

“საპატიო მიზეზად” კი ავადმყოფობა და მივლინებაში ყოფნა მიიჩნევა. მივლინებების ნაკლებობაზე დეპუტატებს მართლა არა აქვთ საწუწუნო. რაც შეეხება ავადმყოფობას, ამ შეთხვევაშიც პარლამენტარები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან: მათ სულაც არ მოეთხოვება ექიმის მიერ გაცემული ცნობის სამსახურში წარდგენა.

როდესაც რეგლამენტის შემუშავების დროს ეს საკითხი იხილებოდა, დეპუტატებმა პროტესტი გამოთქვეს: რას ჰქვია ბიულეტენის მოტანა, განა პარლამენტარი იმის ღირსი არ არის, სიტყვაზე ენდოთო. ამიტომაც გადაწყდა, რომ საკმარისია, დეპუტატმა თავისი ფრაქციის ლიდერს ტელეფონით აცნობოს, ავად ვარო და მას სხდომის გაცდენა საპატიოდ ჩაეთვლება. არა აქვს მნიშვნელობა, ზარი ლოგინიდან გაკეთდება, რესტორნიდან თუ მეგობრის ოჯახიდან...

ასე რომ, თეორიულად, შეიძლება პლენარულ სხდომაზე არც ერთი დეპუტატი არ მივიდეს და ყველა მათგანი კანონთან პირნათელი იყოს - გაცდენა საპატიოდ ჩაეთვალოს. ასეთ პირობებში გაუგებარია, ზემოთ ნახსენებმა 17-მა პარლამენტარმა როგორ მოახერხა “სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა” და ამის გამო მატერიალურად დაზარალება. ამ შემთხვევაში ორ ვერსიაზე შეიძლება საუბარი: მათ ან ტყუილის თქმა არ იკადრეს, ან ტელეფონით დარეკვა დაავიწყდათ.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ყველა დეპუტატი არაპროფესიონალი, ზარმაცი და უდისციპლინოა, რაც ნამდვილად არ იქნებოდა მართალი. საკანონმდებლო კორპუსში ისეთებიც არიან, ვინც თავისი ცოდნითა და ქცევით პატივისცემას იმსახურებს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მათი რაოდენობა არც ისე ბევრია და საკანონმდებლო კორპუსში ისინი ამინდის შექმნას ვერ ახერხებენ.

## ბოდბის ღვთისმშობლის ხატს მირონი სდის

უკვე მეორე დღეა, რაც გურჯაანის რიონის სოფელ ველისციხის მოსახლეობა სასწაულის თვითმხილველია. ზუსტად ორი დღის წინ, ამავე სოფლის საშუალო სკოლის რელიგიის ოთახში, ბოდბის ღვთისმშობლის ხატის ასლიდან მირონი გადმოდის. ხატიდან მირონის გადმოსვლა პირველად ამავე სკოლის მოსწავლემ დაჩი დავითაშვილმა შეამჩნია. “**სანამ რელიგიის გაკვეთილი დაიწყებოდა, ღუმელთან ვიჯექი. შევნიშნე, რომ ხატს მინაზე რაღაც სისველე ჰქონდა. თავიდან მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც გვეგონა, სინესტე იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხატს რაღაც სითხე გადმოსდიოდა,"** - იხსენებს დაჩი დავითაშვილი.

სკოლაში ამავე სოფლის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი მამა იოანე მივიდა. “**მამა იოანემ გვითხრა, რომ ეს ღვთის მიერ მოვლენილი სასწაულია. ამისთვის ჩვენ უფალს მადლობა ვთხოვეთ და ხატის წინ წმინდა სანთლები დავანთეთ,"** - ამბობს რელიგიის მასწავლებელი ქალთამზე შაქარაშვილი.

*24 საათი*

### მოკლედ

#### მიმართვა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს

საქართველოს პარლამენტის კავკასიის ხალხებთან მეგობრობის ჯგუფმა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს თომას ჰამარბერგს, ჩეჩნეთში გუშინ გამართულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სპეციალური მოთხოვნით მიმართა.

საქართველოს პარლამენტის კავკასიის ხალხებთან მეგობრობის ჯგუფი ევროსაბჭოსაგან მოითხოვს, რუსეთის მიერ ჩეჩნეთში დაგეგმილი არჩევნები ბათილად გამოაცხადოს, რადგან იგი სამართლისა და მართლმსაჯულების დაცინვაა.

როგორც ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრისადმი მიმართვაშია მითითებული, ჯგუფი საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდებს, სამართლიანობის, ჰუმანურობისა და რეპუტაციის შენარჩუნებისათვის არ დაიშურონ ძალები ჩეჩნეთში მასობრივი მკვლელობების შესაჩერებლად.

ქართველი პარლამენტარები მიმართვაში პარალელს ავლებენ საფრანგეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებსა და რუსეთის ქმედებებზე.

"ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა რუსეთში, თუ საფრანგეთში განვითარებული მოვლენები იქ მოხდებოდა. ალბათ, პუტინი გასცემდა "ბრძანებას", პოლიციის, ჯარის, უშიშროების ძალების მიერ ტანკებისა და ვერტმფრენების გამოყენებით განეხორციელებინა ის, რაც ბესლანში გააკეთა და, შესაბამისად, შედეგიც ათიათასობით ადამიანის მსხვერპლი იქნებოდა. საფრანგეთი კი ასე არ მოიქცა, იგი ასეთი კონფლიქტების მიზეზებს და მათი სამართლებრივი გადაწყვეტის გზებს ეძებს," - აღნიშნულია მიმართვაში. **ინტერპრესნიუსი**

#### მრეწველობა 10 თვეში

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 2005 წლის ოქტომბერში, 2004 წლის დეკემბერთან შედარებით, 106,99 პროცენტი შეადგინა.

მიმდინარე წლის ათ თვეში სამთომოპოვებითი მრეწველობა გაიზარდა 14,5 პროცენტით, რაც ნახშირის მოპოვებაზე 19,6-პროცენტიანმა, ხოლო ნედლი ნავთობის მოპოვებაზე 45,7-პროცენტიანმა ზრდამ განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში ზრდა დაფიქსირდა ასევე დამამუშავებელ მრეწველობაზე (9,0 პროცენტი) და ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილებაზე (0,9 პროცენტი). 2005 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 99,95 პროცენტი შეადგინა. წინა თვესთან შედარებით, ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელ მრეწველობაზე - 1,9 პროცენტი, რაც გამოწვეული იყო თამბაქოს წარმოებაზე ფასების 28,3-პროცენტიანი ზრდით. გასულ თვესთან შედარებით, ფასები შემცირდა სამთომოპოვებით მრეწველობაზე 11,5 პროცენტით, რაც გამოიწვია ნედლი ნავთობის მოპოვებაზე ფასების 19,6-პროცენტიანმა შემცირებამ. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებას, წინა თვესთან შედარებით ფასები უცვლელი დარჩა. ***24 საათი***

### ორი სიტყვით

**თბილისი.** 29 ნოემბერს ზუგდიდში სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს" მეოთხე ყრილობა გაიმართება. მოძრაობის ლიდერი ალექსანდრე ჭაჭიაა. როგორც მან “მედიანიუსს" განუცხადა, სახალხო მოძრაობის მორიგ ყრილობაზე გაანალიზებული იქნება თავად მოძრაობის და ახალი, რევოლუციური ხელისუფლების ორწლიანი მიღწევები. “2003 წლის ნოემბრის რევოლუციაში სამეგრელოს მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა. გავანაალიზებთ, თუ რა მიიღო მან სანაცვლოდ. ჩამოვაყალიბებთ მოთხოვნებს ხელისუფლების მიმართ, რომლებიც ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის იქნება," - აცხადებს ალექსანდრე ჭაჭია. მისივე თქმით, ეს მოთხოვნები და მიხეილ სააკაშვილის ორწლიანი პრეზიდენტობის ანალიზი ყრილობის რეზოლუციაში აისახება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა ფიფიამ ზუგდიდში პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზუგდიდიდან ორი დღის წინ მისი გარემოცვის წევრი მამუკა შალამბერიძე გაიტაცეს, რომელსაც მუქარით აიძულეს, გოჩა ფიფიას საწინააღმდეგო ჩვენება დაეწერა. როგორც ჩვენებაშია ნათქვამი, გოჩა ფიფია შალამბერიძეს ავალებდა ზუგდიდიდან ქალებისა და ბავშვების გატაცებას და ამაში 1000 დოლარს უხდიდა. ფიფიას თქმით, წერილში ასევე ნათქვამია, რომ შალამბერიძე მოუწოდებს თავისი ოჯახის წევრებს, გოჩა ფიფიას გაუსწორდნენ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

ნოდარ ლადარია

**"ბავშვები ჯარისკაცობანას თამაშობენ. ეს ბუნებრივია. მაგრამ რატომ ხდება, რომ ხანდახან ჯარისკაცები ბაძავენ ბავშვებს?"** — გასული საუკუნის ავსტრიელი მწერლისა და დრამატურგის, **კარლ კრაუსის** ეს სიტყვები გამახსენდა, როცა **ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის** დაკრძალვის რეპორტაჟს მოვკარი თვალი ტელევიზორის ეკრანზე. თუმცა მიბაძვის, ან, მეცნიერულად რომ ვთქვათ, მიმეზისის თემა არც ისე მარტივი და ცალსახაა. მით უმეტეს, რომ მიბაძვით იმდენად სავსეა ადამიანის ცხოვრება, რომ მისი შესწავლა კი არა, უბრალოდ, შემჩნევა ჭირს ხოლმე. ალბათ აჯობებს, უფრო თვალსაჩინო ასპექტიდან დავიწყოთ...

ყველაზე თვალსაჩინო კი კუბოს სახურავზე გამოსახული რუსული საპატრიარქო ჯვარი იყო და კიდევ საპატიო ყარაული — კაზაკთა ესაულების ფორმაში გამოწყობილი ქართველები თითქოს გოგია უიშვილის სოფელში ჩაყენებული "ეკუციის" თეატრალიზებული წარმოდგენიდან მოხსნეს სასწრაფოდ და საფრანგეთიდან ჩამოსვენებული ნეშტის გარშემო ისე დაამწკრივეს, ტანსაცმლის გამოცვლა დაავიწყდათ. მებრძოლი ოფიცრის დაკრძალვას, რა თქმა უნდა, მოქმედი შეიარაღებული ძალების წესდებით დამტკიცებული უნიფორმა შეეფერება და არა სამასკარადო კოსტუმი. მაგრამ სამხედრო ტრადიციისთვის მართლა რომ გვეგდო ყური, დაიკარგებოდა სანახაობის მთავარი არქეტიპი: **ანტონ დენიკინის** ნეშტის დაბრუნება რუსეთში.

ზედმეტად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ვერანაირად ვერ დავამტკიცებ, თითქოს 1924 წლის აჯანყების სარდლის დაკრძალვა მართლაც რუსეთის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ყაიდაზე ჩაიფიქრა ვინმემ. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ: ამაზე არც არავინ ფიქრობდა. მით უფრო მძიმეა შედეგი, რადგან გამოდის, რომ აშკარა პარალელის საფუძველი სადღაც უფრო ღრმად იმალება, ის ჯერ კიდევ არ გამოდევნილა საზოგადოებრივი შეგნებიდან, ჯერ კიდევ არ ჩაბარებულა წარსულს; გამოდის, რომ იმ არმიის ცოცხალი ხატი, რომლის წიაღში აღიზარდა ორი დასახელებული ოფიცერი, ჯერაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოვლენათა და იდეათა ქარტეხილი, რომელმაც ისინი გადაულახავი ისტორიული ქედის სხვადასხვა მხარეს გარიყა.

ერთმანეთისგან გარიყულნი შთამომავალთა ფარაონულმა გემოვნებამ და პომპეზური სანახაობებისკენ ბავშვურმა მიდრეკილებამ გააერთიანა. სწორედ ამ კონტექსტში გამოჩნდა სცენაზე უცხოობაში გარდაცვლილი და სიკვდილიდან ცხრამეტი წლის შემდეგ სამშობლოში გადმოსვენებული კიდევ ერთი დიდი ოფიცერი — ის, რომელსაც გადმოცემა ყველასათვის ცნობილი აფორიზმის ავტორობას მიაწერს: **"დიადსა და სასაცილოს შორის ერთი ნაბიჯია"**...

ნაპოლეონ ბონაპარტის აჩრდილი ჩემი გამოძახებული არაა. სანამ სხვას ვიტყოდე, **ლაშა ბაქრაძეს** უნდა დავეყრდნო — სწორედ მან გაიხსენა პირველად ვანდომის სვეტი თბილისში, თავისუფლების მოედანზე დასადგმელ მონუმენტთან დაკავშირებით. ფრანგულ ძეგლს, რომლის სიმაღლე 43,5 მეტრია, თავიდან დიდი *არმიის* ან *აუსტერლიცის* სვეტი



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ერქვა და მის თავზე იმპერატორის ქანდაკება იდგა გამარჯვების ქალღმერთის ფრთოსანი გამოსახულებით ხელში. სვეტი პარიზში ვანდომის მოედანზე 1806-1810 წლებში აღმართეს და მის ქვის გულს ბარელიეფებით შემკული ბრინჯაოს გარსი აკრავს — ნაალაფარი ქვემეხებისგან გამოდნობილი. 1852 წელს, როცა ფრანგები მეორე იმპერიის შენებით იყვნენ გართულნი, ჩვენი საზოგადოებისთვის არცთუ უცნობმა **კარლ მარქსმა** გერმანიაში გამოსცა ნაშრომი "ლუი ბონაპარტის თვრამეტი ბრიუმერი", სადაც ვკითხულობთ: **"თუ იმპერატორის მანტია ლუი ბონაპარტის მხრებზე დაესვენება, ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკება ვანდომის სვეტის სიმაღლიდან თავქვე წამოვა"**. ამ შემთხვევაში მარქსი კარგი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა და 1871 წელს პარიზის კომუნარებმა მართლაც გადააყუდეს ორმოცდასამი მეტრის სიმაღლიდან ბრინჯაოს ბონაპარტი. ძველი სახე სვეტმა სამი წლის შემდეგ დაიბრუნა და დღესაც იზიდავს ტურისტების უქმ მზერას.

კომუნარების მიერ ვანდომის სვეტიდან ნაპოლეონის დამხობას უკავშირდება ფრანგი მწერლის, **ალფონს დოდეს** ნოველა "შოვენის სიკვდილი". რამე ხომ არ გეცნოთ? დიახ, ეს სწორედ ის ნიკოლა შოვენია, რომლის სახელს უკავშირდება ცნება "შოვინიზმი". მრავალი წლის განმავლობაში ეს პიროვნება ნაპოლეონის არმიის რეალური ჯარისკაცი ეგონათ — როშფორელი გლეხი, ბრძოლებში ჩვიდმეტჯერ დაჭრილი, ფანატიკური პატრიოტი. ერთი ვერსიით იგი ფრანგულ დროშაში გაეხვია და ისე მოკვდა საკუთარ სოფელში, ალფონს დოდეს ნოველაში კი ღრმად მოხუცი შოვენი სვეტზე შედგმული იმპერატორის შეურაცხყოფას ვერ იტანს, მოულოდნელად დატოვებს ბარიკადას და მოწინააღმდეგეს ეკვეთება. მის ნატანჯ სხეულს ერთდროულად გამსჭვალავს საერთო სიძულვილით დამიზნებული ორივე მხრიდან გასროლილი ტყვიები...

სინამდვილეში არავითარი ნიკოლა შოვენი არ არსებობდა. ამ პერსონაჟს ფრანგი ვოდევილისტები მეთოდურად, მაგრამ ყოველგვარი წინასწარი გამიზნულობის გარეშე ქმნიდნენ 1810-იანი წლებიდან მოყოლებული. ნიკოლა შოვენმა, ჯარისკაცმა და გლეხმა, სოციალური წარმოშობა **ჟან-ჟაკ რუსოს** იდეალების პაროდირებით მიიღო, სამხედრო ფორმა კი მას ტლანქმა სახელმწიფო მილიტარიზმმა ჩააცვა. შოვენი გულუბრყვილო იყო, მაგრამ სამხედრო დისციპლინას მისგან ერთი სასცენო მოქმედების განმავლობაში გამოჰყავდა სამშობლოს იდეალური დამცველი. თავში სულ გოგოები უტრიალებდა, ხან მუცლის გვრემა სტანჯავდა, ხანაც ტრიპერი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ფრანგული სულის ამაღლების საშვილიშვილო საქმეს — პირიქით, ყოფითი და ხშირად ბინძური დეტალები უფრო ხელმისაწვდომ და მოშინაურებულ იერს აძლევდა პატრიოტიზმის ნატიფ გრძნობას. მიამიტი გლეხისა და მხურვალე პატრიოტის გამომსახველი ეს პერსონაჟი სცენიდან ამხიარულებდა პარიზელ ბურჟუაზიას. ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო იდეოლოგიის ერთადერთ დასაყრდენადაც იქცა — ვაი, რომ ერთობ ძლიერ და საიმედო დასაყრდენად. საქმე იქამდე მივიდა, რომ საფრანგეთი აავსო მითიური შოვენის პორტრეტებმა. მხატვართაგან ყველაზე ცნობილი იყო **ორას ვერნე**, რომელსაც ერთობ მკვეთრად მოიხსენიებდა პოეტი **შარლ ბოდლერი**, მეტად ნიშანდობლივი ფიგურა ქართული კულტურისათვის. 1845 წელს ბოდლერი წერდა: **"მე მძულს ეს ადამიანი, რადგან მისი სურათები ფერწერა კი არა, გაუთავებელი და გაწაფული მასტურბაცია, ფრანგული კანის გაღიზიანებაა ... მაგრამ ეს კაცი გიმტკიცებთ, რომ დიადნი ხართ და საქმეც ესაა"**.

მაგრამ მარტოსულ გენიოსებს არავინ უსმენს და ფრანგულმა ვოდევილმა შოვინიზმის ჩამოყალიბებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც ინგლისში ჯინგოიზმის — ბრიტანული აგრესიული პატრიოტიზმის ფორმირებაში მიუზიკ-ჰოლმა.

აქ კი ერთი მეტად საგულისხმო კავშირი იმალება. ვოდევილი საკუთრივ ფრანგული მოვლენაა. ეს არაა ხელოვნების ნაწარმოები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: უფრო სასაქონლო, კომერციული პროდუქტია, ვიდრე ესთეტიკური. თუნდაც იმიტომ, რომ ვოდევილს ერთი კი არა, მრავალი ავტორი ჰყავს, რომლებიც კი არ ქმნიან, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისევე *შეიმუშავებენ* ახალ ნაწარმოებს, როგორც ინჟინერთა კოლექტივი — თვითმფრინავს. თვითმფრინავის შემქმნელი ინჟინრებისა არ იყოს, ვოდევილისტთა სახელებიც ხშირად ანონიმურობაში იკარგება. ამგვარი ტრადიცია ბოლო წლებში ჩვენშიც დამკვიდრდა და მას "შაბათის შოუ" ჰქვია — ადგილი, სადაც **ვანო ჯავახიშვილმა** უკვე ორგზის განასახიერა ნაპოლეონ ბონაპარტი.

**"ვინ იყო კი არა, ვინ იქნება!"** — ისმის შაბათ საღამოს ტელეეკრანიდან და მაყურებელთა თავებში ნელ-ნელა მჟღავნდება კავშირი რევოლუციისშემდგომ ორ ქვეყანას — საფრანგეთსა და საქართველოს შორის. სამწუხაროა, რომ განათლების რეფორმა ვერ მოუსწრებს დღევანდელ მაყურებელს და გონებაში ძლივს გაჩენილი სიფრიფანა კავშირი ფაქტობრივი ცოდნით ვერ გამაგრდება. რაოდენ სასარგებლო იქნებოდა ეს გამაგრება ჩვენი საზოგადოებისთვის!

მაგრამ აქ ყველაფერი როდი მთავრდება. ქართულ სალაღობო ასპარეზზე კიდევ ერთი სახე არსებობს, რომელიც ლამის ტყუპისცალივით ჰგავს ორასი წლის წინანდელ ფრანგ ნიკოლა შოვენს. ქართლის გულში დაბადებული **ზვიო** — გულუბრყვილო და ცბიერი, გოგოების მუსუსი და თავისებურად გამრჯე, ერთგვარად მოკრძალებული და საოცრად ბაქია, ოდნავ მხდალი და საკუთარი შეზღუდულობის სადარაჯოზე შეურყევლად მდგომი. თავს იცავს ყველასაგან და თავს ახვევს ყველას. დაბადების ადგილით (ოსიაური) ქართული სამხედრო პოპულიზმის ბუდეს უკავშირდება, სახელით კი (ზვიადი) — ქართული შოვინიზმის უკიდურეს გამოხატულებას...

იქცევა თუ არა ზვიო ქვენა ეროვნული და სახელმწიფოებრივი გრძნობების ისეთივე გაპიროვნებად, როგორადაც მისი ფრანგი წინაპარი იქცა? ვერასოდეს, რადგან მას უკვე ამ ქვეყნის მმართველებმა გაასწრეს. ზვიადიზმს **გამსახურდიამ** მისცა სახელი, გლეხურად ყოფითი სახე სახელმწიფო პოლიტიკას **შევარდნაძემ** მიანიჭა, ბაქიაობით კი **სააკაშვილმა** გადაგვჭამა თავი. არავითარი იდეური საფრთხობელა ჩვენს მენტალობას არ ემუქრება, რადგან ამაზე უკვე იზრუნა ხელისუფლებამ.

ამიტომაც ვერავინ შეამჩნევს, რომ ჩვენმა კულტურამ ზემოხსენებული ნაპოლეონური ნაბიჯი უკვე გადადგა და მისი ახალი არსის გამოხატვას არ სჭირდება სიმბოლოები, მას სავსებით ამოწურავს შემდეგი რამდენიმე სიტყვა: "სამოქალაქო პანაშვიდი საკათედრო ტაძარში".

უცხოეთი

# ფარსად მონათლული არჩევნები და ჩეჩნეთის ახალი კანონმდებლები

პირველი გვერდიდან

ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გუშინ საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. საარჩევნო უბნები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დილის 8 საათზე გაიხსნა და ხმის მიცემა საღამოს 10 საათამდე იყო შესაძლებელი. საგულისხმოა, რომ საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგები დღეს, მოსკოვის დროით 12 საათზე გახდება ცნობილი.

ამომრჩეველთა მხრიდან შესაძლო დაბალი აქტივობის გამო, არჩევნების ჩაშლის შესაძლებლობა დიდი იყო. თუმცა, ოფიციალური წყაროების თანახმად, დღის 12 საათისთვის არჩევნებში მონაწილეობა რესპუბლიკის მოსახლეობის 25 პროცენტს უკვე მიღებული ჰქონდა (ჩეჩნეთში მოქმედი კანონმდებლობით, არჩევნები ჩატარებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება, თუ მასში ამომრჩეველთა მინიმუმ 25 პროცენტი მიიღებს მონაწილეობას). **"ამომრჩეველთა აქტივობამ კანონით დადგენილ 25 პროცენტს გადააჭარბა. მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობას აქტიურად იღებს, რასაც ხელს ალაჰი და კარგი ამინდი უწყობს,"** – აღნიშნა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა რამზან კადიროვმა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ალუ ალხანოვი ხმის მისაცემად გროზნოდან თავის მშობლიურ ქალაქში, ურუს-მარტანში ჩავიდა. ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუშინ დილით ფედერალურ გზატკეცილ "კავკაზ"-ზე, სადაც რესპუბლიკის პრეზიდენტის ესკორტს უნდა გაევლო, თავდაპირველად ორი, მოგვიანებით კი კიდევ ერთი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს და გააუვნებელყოფეს.

აღნიშნული არჩევნების შედეგად, ქვეყნის ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო უნდა დაკომპლექტდეს, რომელიც რესპუბლიკის საბჭოსა და სახალხო საბჭოს ერთობლიობა იქნება. საგულისხმოა, რომ რესპუბლიკის საბჭო 18, ხოლო სახალხო საბჭო 40 დეპუტატით უნდა დაკომპლექტდეს. ჩეჩნეთის საარჩევნო კომისიის თავჯდომარის ისმაილ ბაიხანოვის განცხადებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სულ 430 საარჩევნო უბანი იყო გახსნილი, აქედან 19 სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მოქმედებდა. გუშინდელ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება რესპუბლიკის 600 ათასამდე მკვიდრს ჰქონდა, მათგან 33 ათასი სამხედროა.

გუშინდელ არჩევნებში ჩეჩნეთის რესპუბლიკის 58 ადგილიან საკანონმდებლო ორგანოში მანდატის მოსაპოვებლად თავისი კანდიდატურა 345 პოლიტიკოსმა წარადგინა. რესპუბლიკის საარჩევნო კომისიამ რუსეთის ფედერაციის რვა პოლიტიკური პარტიის რეგიონული განყოფილების მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიები დაარეგისტრირა. არჩევნებში ერთმანეთს "ედინაია როსიას" 20, "როდინას" 16, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის 7, რუსეთის ფედერაციის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის 6, "ნაროდნაია ვოლიას" 5, "ევრაზიისკი სოიუზის" 6, "სოიუზ პრავიხ სილის" 14 და "იაბლოკოს" 20 კანდიდატი დაუპირისპირდა. საგულისხმოა, რომ არჩევნებზე კენჭი სამხედრო მოსამსახურეებმაც იყარეს. არღუნსკის საარჩევნო ოლქში თავისი კანდიდატურა ჩეჩნეთის შინაგანი ჯარების პოლკოვნიკმა ანატოლი ნეჩეპურენკომ წარადგინა, ხოლო ითუმ-ყალის ოლქის მაჟორიტარ კანდიდატთა შორის პოლკოვნიკი ალექსანდრ რადვანია. ჩეჩნეთის პარლამენტში მანდატის მოპოვების მსურველები სამართალდამცველები და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიც აღმოჩნდნენ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გუშინდელ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყოფილი იჩქერიის პარლამენტარებმა (მაგალითად, "მემარჯვენე ძალთა გაერთიანების" საარჩევნო სიაში მეორე ნომრად იჩქერიის თავდაცვის ყოფილი მინისტრი მაგომედ ხაბიევი იყო) და ჩეჩენ სეპარატისტთა ხელმძღვანელობამაც.

ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გამართული საპარლამენტო არჩევნების გასაშუქებლად რესპუბლიკაში სხვადასხვა ქვეყნებიდან 200-მდე ჟურნალისტი ჩავიდა. საგულისხმოა, რომ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) გუშინდელ არჩევნებზე დასასწრებად საკუთარი დამკვირვებლების გამოგზავნაზე უარი განაცხადა, რადგანაც ის გუშინდელ პოლიტიკურ მოვლენას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფი ცალკეული სუბიექტის არჩევნებად მიიჩნევს.

ჩეჩნეთში გუშინ საარჩევნო პროცესის მშვიდობიანად ჩატარების მიზნით რესპუბლიკაში 24 ათასამდე პოლიციელი და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო ორგანიზებული. ოცდაოთხსაათიანი დაცვის ქვეშ, საარჩევნო უბნებისა და საარჩევნო კომისიის თითოეული წევრის გარდა, 190 განსაკუთრებული დანიშნულების მქონე სტრატეგიული ობიექტიც იმყოფებოდა.

საგულისხმოა, რომ გუშინ არჩევნების მიმდინარეობისას არაბულ ტელეარხ "ალ ჯაზირამ" ეთერი, სავარაუდოდ, ჩეჩენი ექსტრემისტის აბდულ ჰალიმ საიდულაევის სატელევიზიო მიმართვას დაუთმო. საიდულაევმა, რომლის სახეც დაფარული იყო, რესპუბლიკაში მიმდინარე არჩევნებს ფარსი უწოდა. ნიშანდობლივია, რომ კვირას ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებიც ფარსად მიიჩნევენ, რადგანაც მათ წარმომადგენელთა თქმით, რესპუბლიკაში არსებული ძალადობის ფონზე, დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. იმას, რომ ჩეჩნეთში დასავლურ სტანდარტთა შესაბამისი არჩევნების ჩატარება ჯერჯერობით წარმოუდგენელია, წინასაარჩევნო პერიოდში რესპუბლიკის პრეზიდენტი ალუ ალხანოვიც არ უარყოფდა.

# სომხური არჩევანი - შეცვლილი კონსტიტუცია

*ოფიციალური მონაცემებით კვირას სომხეთში გამართულ რეფერენდუმში საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ მონაწილეობა 1 მლნ-ზე მეტმა ადამიანმა (გაცილებით მეტმა, ვიდრე მისი ლეგიტიმურობისთვის იყო საკმარისი) მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ბოიკოტისკენ მოუწოდებდა, "ვენეციის კომისია" კონსტიტუციურ ცვლილებათა ნაწილს მიესალმებოდა, თუმცა, ხელისუფლება ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულებაზე აპელირებით, ცვლილებებათა მთელი "პაკეტის" გატანას ლამობდა - რეფერენდუმი მაინც შედგა. სხვა საქმეა, რა პოლიტიკურ ცვლილებებს მოუტანს იგი სომხეთს. დღეისთვის ფაქტი ერთია,. რეფერენდუმმა ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი გააერთიანა, თუმცა, საკმარისი აღმოჩნდება თუ არა ეს გაერთიანება ქვეყანაში რეალური გარდაქმნების გამოსაწვევად, ძნელი სათქმელია.*

ნიკა თარაშვილი

27 ნოემბერს სომხეთში რეფერენდუმი გაიმართა საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ. დილის 08.00 საათიდან სააარჩევნო უბნებზე მისულ ამომრჩეველს უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება სამი სახელისუფლებო პარტიის – სომხეთის რესპუბლიკური პარტია, "დაშნაკცუთიუნი" და "ორინაც ერკირი" – მიერ, შემუშავებული საკონსტიტუციო ცვლილებების მთელი "პაკეტისთვის". ოპოზიციურმა ძალებმა უარი თქვეს საკონსტიტუციო ცვლილებების შემუშავებაში მონაწილეობაზე და ქვეყნის მოსახლეობასაც რეფერენდუმის ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ოფიციალური მონაცემებით რეფერენდუმი მაინც შედგა და, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მალე დაამტკიცებს სომხეთის პარლამენტი.

## "ცუდი" თუ "კარგი" (საკონსტიტუციო) ცვლილებების მოლოდინში

კვირას რეფერენდუმზე გატანილი საკონსტიტუციო ცვლილებები, უდავოდ, წინგადადგმულ ნაბიჯებსაც შეიცავდა, ისევე როგორც, თუ ოპოზიციის განწყობას დავეყრდნობით, "არცთუ" დემოკრატიულ წანამძღვრებს.

სხვათა შორის, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, საკონსტიტუციო ცვლილებების უმთავრესი ხარვეზი ის არის, რომ იგი პროგრესული მომენტების გარდა (მაგ., სახალხო ომბუდსმენის ინსტიტუტის დაკანონება, სასამართლო რეფორმა, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილება, შესაბამისად პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე და ა.შ.), შეიცავდა ისეთ დებულებებს, რომელთაც ვერანაირად ვერ დაარქმევ დემოკრატიულს.



ე.წ. პროგრესული დებულებები, რომელთა მიღებასაც ოპოზიციაც არ ეწინააღმდეგებოდა, ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას ისახავდა მიზნად და "ვენეციის კომისიის" დადებითი დასკვნით იყო ზურგგამაგრებული.

თუმცა, მათ გარდა, ხელისუფლებამ საკონსტიტუციო ცვლილებათა "პაკეტში" ჩართო ისეთი დებულებებიც, რომელთაც, ექსპერტთა აზრით, არაფერი აქვთ საერთო დემოკრატიასთან და სომხეთის საერთაშორისო ვალდებულებებთან. მაგალითად, ერთ-ერთ ცვლილების თანახმად, სომხეთის სახელმწიფო საზღვრების შეცვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პასუხიმგებლობა სომხეთის რესპუბლიკის სახალხო საბჭოს ეკისრება. ბუნებრივია, ისეთ მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საზღვრების შეცვლა, საყოველთაო რეფერენდუმის გადასაწყვეტია. მაგრამ მთავარი ის არის, საერთოდ რატომ აღმოჩნდა ასეთი დებულება ცვლილებათა "პაკეტში". იქნებ "ყარაბახის კონფლიქტის" დარეგულირებას უკავშირდება ეს საკითხი? ან მეორე – რატომ აპირებენ კონსტიტუციაში პრეზიდენტისა და პარლამენტის დეპუტატების ხელშეუხებლობის გარანტიების გაზრდას? გარდა ამისა, არის სხვა არანაკლებ საეჭვო საკითხებიც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სომხეთის მოსახლეობას ყველა "დადებითი" და "უარყოფითი" ცვლილებისთვის მხარდაჭერა ერთდროულად მოუწევს.

## ეჭვებისთვის განწირული კენჭისყრა

სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ხაჩატრიანის თქმით, კვირას ხმის მიცემისთვის გახსნილი საარჩევნო უბნების რაოდენობამ თითქმის ორი ათასს მიაღწია, სადაც რეგისტრირებული ამომრჩეველი დაახლოებით 2,3 მლნ იყო. რეფერენდუმის შედეგების ლეგიტიმურად ჩასათვლელად აუცილებელი იყო, ამომრჩეველთა მესამედს მაინც მიეღო მონაწილეობა.

ოპოზიციური პარტიებისთვის საერთო სახალხო რეფერენდუმი სომხეთის ამჟამინდელი ხელისუფლების ნდობის ვოტუმად გადაიქცა. ამავდროულად, მათი თქმით, ხელისუფლება თავისი მიზნის მისაღწევად, ეჭვგარეშეა, არჩევნების გაყალბების "ნაცად ხერხს" მიმართავდა. მათივე თქმით, სწორედ ამიტომ მოუწოდა გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოსახლეობას ბოიკოტისკენ.

ხმის მიცემის დღეს, დილიდანვე გაჩნდა სხვადასხვა ოპოზიციური ორგანიზაციების საჩივრები დარღვევების შესახებ. თუმცა, მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული ორგანიზაცია (ეუთო-ს მსგავსი), რომელიც სრულყოფილ მონიტორინგს განახორციელებდა ხმის მიცემის პროცესზე, გუშინ სომხეთში წარმოდგენილი არ იყო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, საარჩევნო პროცესს აკვირდებოდა დაახლოებით 16 ათასი დამკვირვებელი - საკმაოდ დიდი რაოდენობა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ 1922 საარჩევნო უბანი იყო გახსნილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ დამკვირვებლები წარმოდგენილნი იყვნენ 10 პოლიტიკური პარტიიდან, 24 საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან და მხოლოდ ერთი საერთაშორისო მისიიდან – ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 14 წარმომადგენლის სახით. ბუნებრივია, პასე-ს 14 სხვადასხვა ქვეყნის, განსხავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე დამკვირვებელი, ვერანაირად უზრუნველყოფდა ობიექტურ მონიტორინგს, მით უმეტეს, რომ, ოფიციალური სომხური წყაროების თანახმად, ეს დელეგაციაც კვირას თითქმის მთელი დღის მანძილზე ოფიციალურ შეხვედრებს მართავდა.

რაც შეეხება ეუთო-ს ოფიციალურ სადამკვირვებლო მისიას, გუშინ მისი წარმოამდგენლები სომხეთში მიწვეულნი არ ყოფილან. ქვეყნის პრეზიდენტის განმარტებით, ეუთო-ს დამკვირვებელთა არყოფნას "თავად ამ ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებდა". ხელისუფლების განცხადებით, თურმე რეფერენდუმებზე დაკვირვება ეუთო-ს საქმე არ ყოფილა.

## მოსალოდნელი შედეგები

სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა გუშინ განაცხადა, რომ მზადაა, პატივი სცეს ხალხის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რაც რეფერენდუმში დაფიქსირდება.

როგორც გუშინ სომხური სააგენტო "არკა" იტყობინებოდა, სახელმწიფოს მეთაურის თქმით, სომხეთი ორი არჩევანის წინაშე იდგა: შეექმნა ხელისუფლების შტოებს შორის უფრო მეტად დაბალანსებული მმართველობის სისტემა ან შეენარჩუნებინა მოქმედი კონსტიტუციით გათვალისწინებული ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა. **"აი, ის ნათელი სქემა, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ. ორივე არჩევანს, რასაკვირველია, მე პატივს ვცემ,"** - ხაზი გაუსვა კოჩარიანმა.

ბუნებრივია, არჩევანი არც ასეთი მარტივი და არც ასეთი ნათელი იყო. მით უმეტეს, რომ სომხეთში ბოლო წუთამდე უცნობი იყო, კონკრეტულად რა ცვლილებებს უყრიდნენ კენჭს. ერთადერთი, რაც ხელისუფლებამ მოსახლეობის "გასანათლებლად" მოახერხა, ხმის მიცემის დღეს გავრცელებული "განმარტებითი" (ხელისუფლების თქმით სწორედ ამ მიზანს ისახავდა კვირას საარჩევნო უბნებში გამოფენილი სააგიტაციო ფურცლები) ბიულეტენები იყო.

გუშინ საღამოს გამოქვეყნებული ეგზიტ-პოლის (სხვათა შორის, პირველის სომხეთის ისტორიაში) შედეგებით კი, რეფერენდუმში მონაწილეთა 88 პროცენტი თანხმაა ხელისუფლების წარმოდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებებზე.

# კოკოითის კრიმინალური კლანი

**ედუარდ კოკოითი**
**(დე-ფაქტო პრეზიდენტი)**



რეკეტი, კონტრაბანდა, ადამიანთა გატაცება, კორუფცია, პოლიტიკურ ოპონენტთა დევნა

**ანატოლი იაროვოი**
**უფს-ის გენერალ-მაიორი, დე-ფაქტო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე**



კონტრაბანდა, ფულის მითვისება

**ანატოლი ბარანკევიჩი**
**დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრი**



ადამიანთა გატაცება, კრიმინალების მფარველობა, კონტრაბანდა, ფულის მითვისება

**იური მოროზოვი**
**დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრი**



დიდი ოდენობით თანხების მითვისება

**ბორის ჩოჩიევი**
**დე-ფაქტო განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი**



ჰუმანიტარული დახმარების მითვისება

**მიხეილ მინძაევი**
**დე-ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრი**



კორუფცია, ყაჩაღური დაჯგუფებების მფარველობა, კონტრაბანდა, ყალბი ფულის დამზადება

**რობერტ კოკოითი**
**ედუარდ კოკოითის ძმა**



ადამიანთა გატაცება, მკვლელობა, ნარკობიზნესი, ფულის მითვისებაა, ყალბი ფულის დამზადება

**იგორ გრუდნოვი**
**შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილე, გენერალ-მაიორი, რუსეთის ფედერაციის გმირი**



რუსეთის სპეცსამსახურებისთვის საფარის უზრუნველყოფა, ტერორისტული აქტები, სეპარატისტების სამხედრო ძალების დახმარება, იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა

**ბალა ბესტაუთი**
**დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული რეაგირების სპეცრაზმის მეთაური**



კონტრაბანდა, დიდი ოდენობით თანხების მითვისება

**იბრაგიმ გასეევი "იბრა"**
**დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე**



იარაღით ვაჭრობა, ხაჭაპურიძეების გატაცების ხელშეწყობა, კონტრაბანდა, თანხების მითვისება

**დიმიტრი ტასოევი**
**"სამხრეთ ოსეთის"პარლამენტის წევრი, სამხედრო დაზვერვის უფროსი**



დივერსიული აქტების ორგანიზება, მკვლელობა, ჩეჩენ ბოევიკებზე იარაღისმიყიდვა, კონტრაბანდა

**ერიკ დუდაევი**
**დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, ზემო არცევის "სახალხო ლაშქრის" მეთური**



დივერსიული აქტების განხორციელება, მკვლელობა, ნარკობიზნესი, მოპარული ავტომობილებით ვაჭრობა, კონტრაბანდა, ადამიანების გატაცება

**მარატ კულახმეტოვი**
**შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი**



რუსეთის სპეცსამსახურებისთვის საფარის უზრუნველყოფა, სეპარატისტების სამხედრო ძალების დახმარება

### ანატოლი იაროვოი

იაროვოის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი სრულად აკონტროლებს კონტრაბანდული ტვირთების შესვლა-გამოსვლის არხებს როკის გვირაბიდან ერგნეთამდე - კონტრაბანდული სპირტის, სიგარეტის, საწვავის შემოდინებას. კონტრაბანდულ საქმიანობაში ჩართულნი არიან კომიტეტის თანამშრომლები: ზნაურის რაიონის განყოფილების უფროსი ალან (საბო) გაბარაევი, ალან გასიევი, ალექსანდრე ტუაევი, რომლებიც მიღებულ შემოსავლებს იაროვოის უნაწილებენ. იაროვოიმ თავის მოადგილესთან, სასაზღვრო სამსახურის უფროსთან ვალერი ჩუგუნოვთან ერთად მიითვისა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ უშიშროების კომიტეტის შენობისა და სასაზღვრო უწყების პოსტების შეკეთებისთვის გამოყოფილი თანხები. იაროვოის, ცხინვალში გადმოყვანამდე - 2000 წლის 14 თებერვლიდან 2004 წლის 24 დეკემბრამდე - რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის მორდოვიის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. იგი დღესაც ამ უწყების მოქმედი ოფიცერია.

### ანატოლი ბარანკევიჩი

ბარანკევიჩი არის რუსეთის არმიის მოქმედი ოფიცერი და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროდან დღემდე ხელფასს იღებს.

იგი თავის მოადგილესთან, იბრაგიმ გასეევთან ერთად, ძმები ხაჭაპურიძეებისა და გენო პეტრიაშვილის გამტაცებლებს მფარველობდა.

ცნობილი კრიმინალები ერიკ დუდაევი და დიმა ტასოევი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები არიან.

ბარანკევიჩის უწყება აქტიურად არის ჩართული კონტრაბანდაში და ამ საქმიანობიდან სერიოზულ შემოსავალს ღებულობს.

ბარანკევიჩი რეგულარულად ითვისებს რუსეთიდან "სამხრეთ ოსეთის" შეიარაღებული ძალებისთვის გამოგზავნილი ფინანსური და სხვა სახის დახმარების სოლიდურ ნაწილს.

### ედუარდ კოკოითი

კოკოითი და მისი კლანი თითქმის სრულად აკონტროლებს "სამხრეთ ოსეთში" ბიზნესს, წილებს იღებს ისეთი ობიექტებიდან, როგორიცაა ცხინვალის ბაზარი, "ბაგიათის" წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, კვაისის ტყვია-თუთიის საბადო, ქარხნები "ელექტროვიბრომაშინა", "ემალპროვოდი" და სხვა.

კოკოითის ხელშეწყობითა და მფარველობით ხდება სპირტისა და სიგარეტის, საწვავისა და საკვები პროდუქტების კონტრაბანდა რეგიონში. მას ეკუთვნოდა სამი სპირტის სახდელი ქარხანა ვლადიკავკაზსა და ბესლანში, რომლებიც 2004 წლის ზაფხულში 15 მილიონ აშშ დოლარად გაყიდა.

კოკოითი რეგიონში ადამიანთა გახშირებული გატაცებების ძირითადი დამკვეთიცააა. მისივე ნება-სურვილით ხდება მძევლების გათავისუფლების ინსცენირება. ამის ბოლო მაგალითია გენო პეტრიაშვილის შემთხვევა.

კოკოითის კლანი მოსკოვიდან გამოგზავნილი თანხებისა და ჰუმანიტარული დახმარებების დიდ ნაწილს ითვისებს. მაგალითად, მითვისებულ იქნა 2005 წლის ივლისში მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის ინიციატივით გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის ნაწილიც. კოკოითი ფლობს ბინებს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ასევე სოჭსა და ალაგირში. მიმდინარეობს მისი ახალი სახლის მშენებლობა ვლადიკავკაზში. მის საკუთრებაშია მიწების დიდი ფართობი ჩრდილოეთ ოსეთში.

კოკოითმა "სამხერთ ოსეთიდან" გააძევა პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატები, ჯამბოლათ თედეევი და ზურაბ კაბისოვი.

კოკითის დაკვეთით, უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდნენ ძმები ჯემალ და იანეკ ქარქუსოვები, ხოლო მათი გაქცევის გამო, მისი უშუალო მითითებით, "პრეზიდენტის" პირადი დაცვის წევრებმა აწამეს ცხინვალის ციხის უფროსი აცამაზ ფუხაევი.

გამოუძიებელია არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰუმანიტარული ინიციატივებისა და კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელის ალან პარასტაევის ცემის ფაქტი.

### ბალა ბესტაუთი

ბესტაევი აკონტროლებს ცხინვალი-ძარიგუფთის შემოვლით გზას. მისი შემოსავლის ძირითად წყაროს კონტრაბანდული ტვირთების გაცილებიდან მიღებული თანხები წარმოადგენს, რომლის 20 პროცენტს უნაწილებს ბორის ჩოჩიევს.

ბესტაევი დაკავებულია ჯართის უკანონო ბიზნესითაც, ხოლო, როგორც ქალაქ ცხინვალის ავტოსადგურის დირექტორი, ფლობს სამარშრუტო ხაზებსა და მთლიანად აკონტროლებს "სამხრეთ ოსეთში" შემოსვლა-გასვლის პროცესს.

ედუარდ და რობერტ კოკოითებმა რუსეთის მიერ "სამხრეთ ოსეთის" საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი თანხის ნაწილი (დაახლოებით 9 მილიონი რუსული რუბლი) ბესტაევს გადასცეს, რომელსაც აღნიშნული ფულით თავისი დანაყოფის სახელფასო დავალიანება უნდა გაესტუმრებინა, თუმცა, ეს თანხა დანიშნულების ადგილამდე არ მისულა. ცოტა ხანში ბესტაევმა ცხინვალში 40 ათას აშშ დოლარად საცხოვრებელი სახლი შეიძინა.

ბესტაევის რაზმის 45 წევრი ახლდა თან ედუარდ კოკოითს 2004 წლის 1 სექტემბერს ქალაქ ბესლანში, ტერორისტების წინააღმდეგ განხორციელებულ საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

### ბორის ჩოჩიევი

ჩოჩიევი რუსეთიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული ფქვილისა და სურსათის ნაწილს ითვისებს და თავისი ახლობლების მეშვეობით რეალიზაციას უწევს.

ჩოჩიევს კონტრაბანდული ტვირთების გაცილებიდან მიღებული თანხების 20 პროცენტს უნაწილებს ბალა ბესტაევი.

ჩოჩიევმა კორუფციით ნაშოვნი ფულით ქ.ვლადიკავკაზში ფეშენებელური სახლი შეიძინა.

### მიხეილ მინძაევი

მინძაევის უწყება აქტიურად არის დაკავებული მოპარული მანქანების ლეგალიზაციითა და კრიმინალებისთვის ყალბი პირადობის მოწმობების დამზადებით.

მინძაევი და მისი მოადგილეები: ალან გუჩმაზოვი, არკადი ქელეხსაევი, ტარზან კოკოევი მფარველობენ "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე მოქმედ კრიმინალურ ჯგუფებსა და რეკეტერებს.

მინძაევის თანამშრომლები, სხვა ძალოვან უწყებებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართულნი კონტრაბანდაში.

მინძაევი მფარველობს ყალბი ამერიკული დოლარების დამზადებასა და გავრცელებას.

### რობერტ კოკოითი

თავისი ძმის მფარველობით, რობერტ კოკოითი აქტიურადაა ჩართული სპირტის, სიგარეტისა და საწვავის კონტრაბანდაში. აკონტროლებს ბენზინგასამართ სადგურებსა და ქ. ცხინვალის ნავთობბაზას.

მას ბრალად ედება 2004 წლის ნოემბერში ბიზნესმენ ვლადიმერ გაგლოევის მკვლელობაში თანამონაწილეობა. 2002 წელს ცხინვალელების - ფარნიევისა და კაზმაჩოვის მკვლელობის ორგანიზება, ასევე, 2002 წლის მიწურულს საყვარლის, 19 წლის ლელა ზასეევას მკვლელობა, რომელმაც ნარკოკურიერის როლის შესრულებაზე უარი უთხრა.

რობერტ კოკოითი აქტიურად მონაწილეობდა 2004 წლის აგვისტოს სამხედრო მოქმედებებში, პასუხისმგებელი იყო იარაღის შემოტანაზე.

იგი რუსეთის მიერ გამოყოფილი თანხების მითვისების გამო იძულებული გახდა გარკვეული დროით ცხინვალი დაეტოვებინა.

რობერტი ორგანიზებას უწევს ყალბი დოლარების რეალიზაციას ცხინვალში და საქართველოს სხვა რეგიონებში.

რობერტ კოკოითი საქმის კურსში იყო გენო პეტრიაშვილის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით. გამტაცებლებს შორის კოკოითების ნათესავებიც არიან.

### დიმიტრი ტასოევი

ტასოევი მეთაურობს "სამხრეთ ოსეთის" თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო ბატალიონს - ასკაციან დივერსანტთა დაჯგუფებას, რომელმაც განახორციელა დივერსიული აქტები შიდა ქართლში:

- 2004 წლის 9 ოქტომბერს კასპის რაიონში ააფეთქა სარკინიგზო ლიანდაგი;
- იმავე დღეს საჩხერეგომის გზატკეცილზე, სოფელ ჯვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ააფეთქა მაღალი ძაბვის 500 კვტ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი;
- 2004 წლის 17 ნოემბერს, ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანაში ააფეთქა ბაქო-სუფსის მილსადენის რადიოგადამცემი სადგური "ТУ-7";

2005 წელს ტასოევის რაზმიდან დაიკარგა სამი საზენიტო დანადგარი "Игла", რომლებიც ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ხელში აღმოჩნდა.

ტასოევი, თავის ძმასთან, იოსებ ტასოევთან ერთად, მონაწილეობდა არმაზ ჯალაბაძის მკვლელობაში.

ტასოევი აკონტროლებს სოფელ ერგნეთთან მდებარე საბითუმო ბაზრობას და ჩართულია კონტრაბანდული ტვირთების გაცილებაში. ტასოევი ფლობს აგრეთვე საუნას ქ. ცხინვალში.

### იბრაგიმ გასეევი (იბრა)

გასეევი აქტიურად ყიდის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ შეიარაღებას სხვადასხვა ბანდიტურ დაჯგუფებაზე.

"იბრა" 2005 წლის 6 ივნისს ძმები ხაჭაპურიძეების გატაცების ერთ-ერთი ორგანიზატორია. გატაცების დროს გამოყენებულ იქნა მის დაქვემდებარებაში არსებული, სანომრე ნიშნებშეხსნილი ავტომანქანები.

გასეევს სამხედრო დანაყოფებში მრავლად ჰყავს "მკვდარი სულები" და მითვისებული აქვს რუსეთიდან "სამხრეთ ოსეთის" შეიარაღებული ძალების შენახვისთვის გამოყოფილი თანხები.

"იბრას" უშუალო განკარგულებით, მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო დანაყოფები რეგულარულად აცილებენ კონტრაბანდულ ტვირთებს.

### იური მოროზოვი

მოროზოვი კურირებს რუსეთის ფედერაციიდან შემოსული ფინანსური დახმარების განაწილებას (პენსიები, ხელფასები, გზების დაგება, სახელმწიფო შენობების რემონტი), საიდანაც, დაახლოებით, 20 პროცენტს ითვისებს და რიცხავს ქ. კურსკის ერთ-ერთ კომერციულ ბანკში.

### ერიკ დუდაევი

დუდაევმა 2003 წლის მაისში, ბურონის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, შელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა რუსეთის ფედერაციის საზღვრის დაცვის თანამშრომელი, რის გამოც მასზე ფედერალური ძებნა გამოცხადდა.

დუდაევმა 2004 წლის 24 აგვისტოს, მეუღლისა და შვილის თვალწინ, მოკლა ნოდარ ძაგოევი, "ჯორცხენა".

იგი დაკავებულია ვლადიკავკაზიდან შემოტანილი ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებით, ეწევა რუსეთში გატაცებული, ძვირადღირებული ავტომანქანების სამხრეთ კავკასიაში რეალიზაციასა და საქართველოში მოპარული ავტომანქანების "დაბრუნებას".

დაკავებულია ვლადიკავკაზიდან სპირტისა და სიგარეტის კონტრაბანდით.

დუდაევი, ტასოევთან ერთად, მონაწილეობდა 2004 წლის 9 ოქტომბერს, კასპის რაიონში სარკინიგზო ლიანდაგის აფეთქებაში.

მისი ორგანიზებით გაიტაცეს:

- 2005 წლის 19 აგვისტოს, ფრონეს ხეობაში, სოფელ ნულთან 11 წლის გენადი პეტრიაშვილი;
- 2005 წლის 4 სექტემბერს, გორის რაიონის სოფელ ქვეშის მკვიდრი, 14 წლის ლევან ცაციაშვილი;
- 2005 წლის 22 ივლისს, სოფელ ზემო არცევის მკვიდრი, 18 წლის გოჩა ჯარმელაშვილი;
- 2005 წლის 20 იანვარს, სოფელ ერედვის პოლიციის განყოფილების უფროსი ლადო ჩალაური და ამავე განყოფილების თანამშრომელი გოჩა გვიმრაძე.

ერიკ დუდაევი არის ცნობილი კრიმინალის, მარეკ დუდაევის ძმა.

### რუსი სამშვიდობოები

რუსეთის სპეცსამსახურები, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ შერეული სამშვიდობო ძალების საფარქვეშ, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტულ- დივერსიულ აქტებს ახორციელებენ, რის საქმის კურსშიც იმყოფება სარდალი, მარატ კულახმეტოვი.

სარდლის მოადგილე იგორ გრუდნოვი არის დე ფაქტო "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მრჩეველი შინაგან საქმეთა სამინისტროს საკითხებში.

2005 წლის 1 თებერვალს, გორის ტერაქტის დაგეგმვაში აქტიური როლი შეასრულეს რუსი სამშვიდობოების საფარქვეშ მოქმედმა სპეცსამსახურების თანამშრომლებმა: კოკოითის მრჩეველმა სამხედრო საკითხებში, გენერალმა ანატოლი სისოევმა, სამშვიდობოთა სარდლის მოადგილემ, პოლკოვნიკმა მიხეილ აბრამოვმა და რუსული სამშვიდობო ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკმა რომან ბოიკომ.

კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი სამხედრო ტექნიკით, საწვავითა და ტრანსპორტით ამარაგებს ოს სეპარატისტებს. ამ კუთხით სეპარატისტებთან აქტიურად თანამშრომლობენ ოს სამშვიდობოთა სარდალი, ყაზბეგ ფრიევი, მისი მოადგილე, ბატალიონის მეთაური ფილიპ ხაჩიროვი და ბატალიონის შტაბის უფროსი, სერგეი ივახნენკო.

ფრიევი, ხაჩიროვი და ივახნენკო, დიმა ტასოევთან და ერიკ დუდაევთან ერთად, უზრუნველყოფენ სეპარატისტებისთვის იარაღისა და საბრძოლო მასალის რუსეთის ტერიტორიიდან უკანონოდ შემოტანას. შემოტანილი იარაღის ნაწილი "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე მოქმედი კრიმინალური ჯგუფების ხელში ხვდება.

სამშვიდობოები აქტიურად მონაწილეობენ კონტრაბანდული ტვირთების გატარებაში, რაშიც სოლიდურ შემოსავალს იღებენ.

## მოკლედ

### თაგილონსა და ჭუბურხინჯში სეპარატისტებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს

გუშინ დილით აფეთქება მოხდა გალის რაიონის სოფელ თაგილონში. გავრცელებული ინფორმაციით, დაუდგენელმა პირებმა ააფეთქეს ავტომანქანა, რომელშიც თაგილონის აფხაზეთის შტაბის უფროსი, აფხაზეთის ორგზის გმირი გივი წულაია იმყოფებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, გივი წულაია და მისდამი დაქვემდებარებული შეიარაღებული პირები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ქართველების მიმართ. აფეთქების შედეგად გივი წულაია გარდაიცვალა. მასთან ერთად მანქანაში მყოფი აფხაზური მილიციის ორი წარმომადგენელი მძიმედ არის დაჭრილი.

წინასწარი ინფორმაციით, მანქანა რამდენიმე დღის წინ დადებულ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ვარაუდობს, შესაძლოა, ამ აფეთქებაში ერიოს ქართველი პარტიზანების ხელი, რომლებიც ბოლო პერიოდში გალის რაიონის ტერიტორიაზე გააქტიურდნენ. აფეთქების შემდეგ აფხაზურმა მხარემ გალის რაიონის ორ სოფელში - თაგილონსა და ჭუბურხინჯში დამატებითი ძალები შეიყვანა. ამ დროისათვის ეს სოფლები ბლოკირებულია. მოსახლეობა საცხოვრებელ სახლებს ტოვებს და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გადადის. **ინტერპრესნიუსი**

### ფინანსური პოლიციის ავტომანქანა ხიდიდან გადავარდა

გუშინწინ, გვიან ღამით, ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ავარიაში მოყვნენ. ისინი სასწრაფოდ გადაიყვანეს გორის საავადმყოფოში.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ავტომანქანა "ნივით" მოძრაობდნენ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაედევნენ "ბმვ"-ს მარკის შავი ფერის ავტომანქანას, რომელიც არაქართული სანომრე ნიშნებით მოძრაობდა და მძღოლს გაჩერება მოსთხოვეს. ავტომანქანის მძღოლი არ დაემორჩილა მათ მოთხოვნას და შეჯახება სცადა ფინანსური პოლიციის მანქანასთან, რის შედეგადაც ავტომანქანა "ნივა" გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალის გორის მონაკვეთზე ხიდიდან გადავარდა.

ავარიის შედეგად ფინანსური პოლიციის სამი თანამშრომელი გორის საავადმყოფოში ტვინის შერყევით, ნეკნების მოტეხილობებით, ასევე სხვადასხვა დაზიანებებით მოათავსეს.

როგიორც ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსი ზურაბ არსოშვილი აცხადებს, მიმდინარეობს გადაუდებელი ოპერატიული ღონისძიებები დამნაშავეთა დასაკავებლად. **ინტერპრესნიუსი**

### ყაჩაღური თავდასხმა ნაბაკევში

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში გუშინწინ კიდევ ერთი ყაჩაღური თავდასმა მოხდა. 72 წლის გიორგი ესართიას ოჯახს ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული პირი, თხილის გატაცების მიზნით, თავს დაესხა. ინციდენტის დროს სახლში მხოლოდ გიორგი ესართია და მისი მეუღლე ნუნუ ესართია იმყოფებოდნენ. როგორც გიორგი ესართია აცხადებს, ყაჩაღებმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. რის გამოც იგი ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ექიმები აცხადებენ, გიორგი ესართიას მიღებული აქვს სხეულის მძიმე დაზიანება და იგი სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს. გიორგი ესართიას მეუღლის ნუნუ ესართიას განცხადებით, თავდამსხმელები ქართულ და მეგრულ ენებზე საუბრობდნენ. თავდამსხმელებმა სახლიდან გაიტაცეს 4000 ლარის ღირებულების თხილი. ***ინტერპრესნიუსი***




Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 26/10/05. Flights must be booked on or before 31/03/06 and outbound travel completed on or before 31/03/06. Fares are subject to availability and are non-refundable. For full terms and conditions, visit ba.com. Services operated by BMED.

## მოკლედ

### მარეკ დუდაევს ორ დღეში განაჩენს გამოუტანენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ არცევში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული მარეკ დუდაევის საქმის სასამართლო გამოძიება დასრულებულია. თბილისის სააპელაციო სასამართლო განზრახ მკვლელობასა და სხვა მძიმე დანაშაულებების ჩადენაში ბრალდებულ დუდაევს განაჩენს ორ დღეში გამოუტანს.

სახელმწიფო ბრალდებამ განსასჯელისთვის 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. მარეკ დუდაევის ადვოკატი პროკურატურის ამ მოთხოვნას აპროტესტებს და სისხლის სამართლის საქმეში არსებული 16 ეპიზოდიდან 14 ეპიზოდში მისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას მოითხოვს. ადვოკატის მტკიცებით, სასამართლოზე დაკითხულ მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებების მიხედვით, დასტურდება, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილ თოთხმეტ ბრალდებაში, დუდაევის დანაშაული არ იკვეთება.

"დარჩენილ ორ ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლოსგან მომხდარის სამართლებრივი შეფასების შეცვლას მოვითხოვ, რადგან სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, რომ მოქალაქე ბესიკ თენაძის განზრახ მკვლელობის დროს საქმე გვქონდა აუცილებელ მოგერიებასთან, რადგან დუდაევი თავდასხმის დროს თავს იცავდა. რაც შეეხება მოქალაქე გოჩა ელიაურის გატაცების ფაქტს, ამ შემთხვევაში დადასტურდა, რომ ელიაური დუდაევს ავტომანქანაში საკუთარი ნებით ჩაუჯდა, მოგვიანებით კი, მათ შორის მხოლოდ სიტყვიერი და ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა", - განმარტავს ადვოკატი. 32 წლის მარეკ დუდაევი მისთვის წარდგენილ არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ აცხადებს.

**24 საათი**

### უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible] წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# როგორი იქნება საქართველოს მთავარი ფინანსური დოკუმენტი 2006 წელს?

პირველი გვერდიდან

**"საგადასახადო შემოსავლების ზრდა, ძირითადად, მოგების გადასახადის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებითაა გამოწვეული. მოგების გადასახადის გარეშე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, ნაცვლად 12 პროცენტისა, მხოლოდ 3 პროცენტით გაიზრდებოდა,"** - ვკითხულობთ "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" მიერ მომზადებულ ანგარიშში, რომელშიც 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მონიტორინგის შედეგებია ასახული. - **ეს ყოველივე მიუთითებს, რომ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა ნაწილობრივ ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე დაიგეგმა. შესაბამისად, იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულების ხარისხი."**

ექსპერტების აზრით, ბიუჯეტის პროექტში კვლავ რჩება გარკვეული გაუმჭვირვალე მუხლები. "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ექსპერტების პირველი შენიშვნა ბიუჯეტის შემოსულობებს ეხება:

**"განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს აქციზიდან მისაღები შემოსავლები, რომელიც 8 პროცენტითაა გაზრდილი. ზრდა მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის ხარჯზე ხდება, ადგილობრივი წარმოების პროდუქციიდან მისაღები აქციზი კი 17 პროცენტით მცირდება. აღნიშნული ფაქტი სამამულო აქციზური პროდუქციის წარმოების მოცულობის აშკარა შემცირებაზე მეტყველებს და შესაბამისად მცირდება ამოსაღები გადასახადის მოცულობა,"** - ნათქვამია "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ანგარიშში.

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საკმაოდ დიდი მუშაობა მოუწევს საგადასახადო დეპარტამენტს, რადგან საგადასახადო შემოსავლების ნახევარზე მეტის მობილიზება სწორედ ამ უწყებამ უნდა უზრუნველყოს. მიმდინარე წელთან შედარებით, დეპარტამენტის მიერ ამოსაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 48 პროცენტითაა გაზრდილი. საბაჟო დეპარტამენტმა კი მომავალ წელს, 2005 წელთან შედარებით, 21 პროცენტით გაზრდილი პროგნოზი უნდა შეასრულოს.

ასევე, ბიუჯეტის პროექტის თანახმად, არასაგადასახადო შემოსავლები 35 პროცენტით მცირდება, რაც ერთჯერადი ჩასარიცხი თანხების შემცირებითაა გამოწვეული. ეს ფაქტი, ექსპერტების აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ მომავალ წელს ძალოვანი სტრუქტურების მიერ "კორუმპირებულებისგან" ამოღებული თანხები მნიშვნელოვნად მოიკლებს.

მიმდინარე წელთან შედარებით, დეფიციტის დაფინანსების წყაროები 25 პროცენტით მცირდება. ამ ფაქტს ასოციაციის ექსპერტები ბიუჯეტის დადებით ტენდენციად აფასებენ. მათი განცხადებით, დეფიციტის დაფინანსების წყაროებში აღარ ფიგურირებს სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით მიღებული თანხები. თუმცა, მათივე ვარაუდით, ასეთი ქმედება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ნეგატიურად აისახება.

რაც შეეხება 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილს. პროექტის შესაბამისად, გადასახდელები 3164,5 მილიონ ლარს შეადგენს. მთავრობის პრიორიტეტები მომავალ წელსაც განათლების, თავდაცვის და ენერგეტიკის სფეროებია, რომელთა დაფინანსებაზე გადასახდელების დაახლოებით 30 პროცენტი მოდის. თუმცა საინტერესოა, რომ მიუხედავად ენერგეტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებისა, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დაფინანსება 14 პროცენტით მცირდება.

საკმაოდ დიდი დაფინანსებით გამოირჩევა სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა - 18 პროცენტი, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება - 10 პროცენტი. ასევე, ბიუჯეტის პროექტით განსაკუთრებული ზრდა განათლების დაფინანსებას შეეხო - 204 პროცენტი.

ამას გარდა, სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსება 22,8 მილიონი ლარით იზრდება. კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში საქმიანობა კი 65 მილიონი ლარით დაფინანსდება, რაც მიმდინარე წლის პარამეტრებს 66 პროცენტით აღემატება. მომავალი წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად იზრდება ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებაც, სადაც, წინა წელთან შედარებით, 30,8 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება.

თუმცა, მიუხედავად საბიუჯეტო პარამეტრების ზრდისა, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი კვლავ საჭიროებს შემდგომ სრულყოფას, - მიიჩნევს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ექსპერტი კახა იმერლიშვილი. მისი აზრით, პროექტი გაურკვეველ მუხლებსა და არამიზნობრივ ხარჯებს მოიცავს. კერძოდ: **"აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები და გაურკვეველია, რა ღონისძიებებზე იხარჯება 392,5 მილიონი ლარი. აქ გასათვალისწინებელია, რომ თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა საიდუმლო ღონისძიებებს და მათი დეტალური ასახვა ბიუჯეტში მიზანშეწონილი არ არის, თუმცა ასიგნებების შესახებ გარკვეული მონაცემების გაწერა მაინც შესაძლებელი უნდა იყოს,"** - განაცხადა ექსპერტმა "24 საათთან" საუბარში.

**"უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში მიღებული საკონსულო მოსაკრებლები და ბიუჯეტის სხვა შემოსულობები სახაზინო სამსახურის ანგარიშების გვერდის ავლით იხარჯება,"** - აღნიშნავს კახა იმერლიშვილი. მისი განცხადებით, ეს ოპერაცია ხორციელდება "საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის პროექტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 82-ე ბრძანებულების მიხედვით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს "საბიუჯეტო სისტემის შესახებ."

# ქუთაისში მოსახლეობას ვალებს „აწერენ"

პირველი გვერდიდან

საქმე ის გახლავთ, რომ სგსე-ს ქალაქის ბიუჯეტის წინაშე მილიონი ლარი მართებს, რომელიც კომპანიამ ეტაპობრივად უნდა დაფაროს. საკრებულო ჩოგოვაძეს სიტყვაზე ენდო და ამ ვალის რესტრუქტურიზაციაზე თანხმობა ისე მისცა, რომ ენერგოკომპანიას ვალის დაფარვის გრაფიკიც არ წარმოუდგენია.

სამაგიეროდ, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურისა და მოსახლეობაში ამ კუთხით დაგროვილი ვალის ამოღებას ენერგოკომპანია მკაცრი სანქციებით გეგმავს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის სერვის-ცენტრის მენეჯერის გიგა გრიგალაშვილის თქმით, ქუთაისის მოსახლეობის ვალი 700 000 ლარს აღწევს.

**"ჩვენ მკაცრად მოვითხოვთ თანხების გადახდას. თანხის ამოღებისთვის კი ორ მეთოდს ვიყენებთ. ეს არის ინდივიდუალური და კომუნალური მრიცხველების მიხედვით გადახდა. მაგრამ ვერ ვახერხებთ გათიშული ტრანსფორმატორების შენარჩუნებას, რადგან მოსახლეობა თვითნებურად ახორციელებს ჩართვებს. საფიჩხიაზე 10 მრიცხველის კარადაა დამტვრეული. 900 ბოქლომია დახარჯული ქუთაისში სატრანსფორმატორო ჯიხურების შეკეთებაზე,"** - აცხადებს გიგა გრიგალაშვილი.

**"რაც ქუთაისში ხდება ენერგომომარაგების კუთხით, ამაში არც ბოქლომია დამნაშავე და არც მრიცხველი. ეს არის ენერგოკომპანიის არასწორი მართვის შედეგი, რომლის საქმიანობაც ამოვარდნილია საქართველოს კანონმდებლობიდან აღრიცხვისა და საქმის წარმოების შესახებ და მე ძალიან მიკვირს, რატომ არ რეაგირებენ ამაზე მაკონტროლებლები,"** - აცხადებს საკრებულოს მდივანი ვანო ჟორჟოლიანი "24 საათთან" საუბარში.

საქმე ის გახლავთ, რომ ქუთაისის მოსახლეობა და მათი რჩეულები საკრებულოში არ ფლობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ახდენს ენერგოკომპანია აბონენტებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ვალის დაწერას მაშინ, როცა დღემდე მოუწესრიგებელია აღრიცხვის კვანძები. ქუთაისში მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაიწყო. მაშინ ენერგოკომპანიის ხელმძღვანელთა "თხოვნას" 18000 აბონენტი ოპერატიულად გამოეხმაურა და ინდივიდუალური მრიცხველების დასამონტაჟებლად თითოეულმა აბონენტმა 15-დან 30 ლარამდე გადაიხადა. ენერგოკომპანიამ მაშინ გამრიცხველიანების პროცესი ოთხ კერძო ფირმას (შპს "ვექტორი", შპს "ელმშენი", შპს "პატრიოტი" და შპს "მეგობრობა 2004") მიანდო, რომლებიც ენერგოკომპანიის მაშინდელი და ამჟამინდელი მაღალჩინოსნების მითითებით, სახელდახელოდ შეიქმნა. მოგვიანებით ფინანსურმა პოლიციამ გაარკვია, რომ გამრიცხველიანების თანხებიდან შპს "პატრიოტის" ხელმძღვანელმა კობა კეზევაძემ 15195 ლარი მიითვისა, შპს "მეგობრობა 2004"-ს კი ენერგოკომპანიამ 12275 ლარი გადაურიცხა გამრიცხველიანების სამუშაოებისთვის, რაც ამ ფირმას არ განუხორციელებია. ამ "ლაფსუსის" გამოსასწორებლად ქუთაისის სერვის-ცენტრის მაშინდელი მენეჯერი ერეკლე ბაქრაძე და გამრიცხველიანების მაშინდელი კოორდინატორი თემურ სულაძე დოკუმენტების გაყალბებაზე წავიდნენ და 12275 ლარი შპს "მეგობრობა 2004"-დან შპს "პატრიოტს" გადააწერეს. სინამდვილეში კი ეს თანხა "პატრიოტამდე" არ მისულა. ფინანსურ პოლიციაში დაწყებული ძიება მოგვიანებით საეჭვოდ "გაიყინა". მხოლოდ "პატრიოტის" ხელმძღვანელი კობა კეზევაძე გამოცხადდა ძებნილად. ბაქრაძე მცხეთის სერვის-ცენტრის მენეჯერად გადაიყვანეს, სულაძე კი – "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის ოფისის ენერგოგასაღების უფროსად.

ერთი წლის თავზე ენერგოკომპანიის ქუთაისის სერვის-ცენტრის ახალმა ხელმძღვანელებმა აღმოაჩინეს, რომ ის მრიცხველები 1963 წელსაა გამოშვებული და უვარგისია. გამრიცხველიანებისთვის აკრეფილი თანხები კი ენერგოკომპანიამ მოსახლეობის "ძველი" და გაურკვეველი წარმომავლობის ვალების გადასახადებში "გააპრავა".

**"ვიღაცამ მოინდომა ხალხის გაბითურება. იმ ფირმების უკან ვინც დგას, კარგად მოიკითხონ,"** - როგორც ყოველთვის, დაკონკრეტების გარეშე მოითხოვს საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე.

"ძველი" ამბების კარგად "მოკითხვამდე" კი ენერგოკომპანია ქუთაისში გამრიცხველიანების მეორე წრეზე წავიდა. ამჟამად ახალი ინდივიდუალური მრიცხველები მოსახლეობას სახელმწიფომ შეუსყიდა. მეორე წრეზე ქუთაისში 16000 აბონენტი გამრიცხველიანდა. დარჩენილი 40000-ის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ენერგოკომპანია ხუთი თვის ვადაში გეგმავს. მანამდე ქუთაისში მოქმედ ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველები დაიდგა. თითოეული კომუნალური მრიცხველი რამდენიმე ასეული აბონენტის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიას აღნუსხავს, ამიტომაც გადასახდელ თანხას ენერგოკომპანია ასეულობით აბონენტზე ანაწილებს. ასე ხდება აბონენტებზე გაურკვეველი ვალების დაკისრება. ამ პრინციპით ელექტროენერგიის ვალები ედებათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ქუთაისში უკვე წლებია, აღარ ცხოვრობენ.

**"ჩემს უბანში ერთ-ერთ პიროვნებას 1500 ლარი დააწერა ენერგოკომპანიამ ვალად, როცა ეს ადამიანი უკვე ოთხი წელია ტყიბულში ცხოვრობს. საინტერესოა, საიდან დააწერეს ეს ვალები, თუ მრიცხველები არ ვარგოდა?"** - აცხადებს მართვის ტერიტორიული სამსახურის ავტოქარხნის განყოფილების უფროსი დავით ჩაკვეტაძე "24 საათთან" საუბარში.

კომუნალური მრიცხველების მოქმედების ვადა, სემეკ-ის გადაწყვეტილებით, 31 დეკემბერს იწურება. მანამდე ენერგოკომპანია მოსახლეობაში საკონტროლო ქვითრებს ავრცელებს, რომელშიც თითოეული აბონენტის ვალი ასეულობით ლარს ითვლის. ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ ამ მეთოდით ვალების დაზუსტებას ახდენენ და თითოეულ აბონენტს უფლებას აძლევენ, ვალის არასწორად დარიცხვა შესაბამის უბნებში გააპროტესტონ. პროტესტის გამოხატვას კი მოსახლეობა საჯარო აქციებითაც გეგმავს. დანარჩენები კი ელექტროენერგიას ე.წ. კომერციული ფირმებიდან იღებენ, რომლებიც ოფიციალურად გაუქმებულია, მაგრამ, ფაქტობრივად, ისევ ფუნქციონირებენ.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ჯერჯერობით სახელმწიფო კომპანიაა, რომელსაც "ფი-ეი ქონსალთინგ გროუფი" მართავს, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მართვის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა 2006 წლის 8 მაისს იწურება. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გაყიდვა მომავალი წლის სექტემბრისთვის იგეგმება.

## საბიუჯეტო მონიტორინგი

The Eurasia Foundation
Georgia Office

EPRC
Economic Policy Research Center

*"ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისაგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს პროექტს "სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანტიკორუფციული ექსპერტიზა". მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" აგებს.*

# სეკვესტრი ან ინფლაცია - მანკიერი საბიუჯეტო წრიდან გამოსავალი

### ბოლო ორ თვეში 846 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯია გასაწევი

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 10 თვის შესრულების მაჩვენებლები ასეთ სურათს გვაძლევს: სულ 10 თვის პროგნოზით სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შემოსულიყო 1 მილიარდ 848,5 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლები და გრანტები, რეალურად კი შემოსულია 1 მილიარდ 932,9 მილიონი (გადაჭარბება 84,4 მილიონ ლარს შეადგენს, რაც პროცენტულად 4,5 პროცენტის ეკვივალენტურია). აქედან საგადასახადო შემოსავლების წილად 1 მილიარდ 430 მილიონი ლარი მოდის (პროგნოზთან შედარებით გადაჭარბება 7 პროცენტს შეადგენს), არასაგადასახდო შემოსავლების მეშვეობით კი 228,3 მილიონის მობილიზება მოხდა (გადაჭარბება 13 პროცენტია).

ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, ოქტომბერში ბიუჯეტს 160,35 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლები უნდა მიეღო, რეალურად კი 179,41 მილიონის მობილიზება მოხდა, რამაც საპროგნოზო მაჩვენებლის 11,9 პროცენტით (თანხობრივად 19,06 მილიონი ლარი) გადაჭარბება უზრუნველყო.

ოქტომბერში აკრეფილი მთლიანი თანხიდან საგადასახადო შემოსავლების წილად 160,67 მილიონი ლარია მობილიზებული (საგადასახადო დეპარტამენტის მიერ - 68,18 მილიონი ლარი, საბაჟო დეპარტამენტის ხაზით კი - 92,49 მილიონი), არასაგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტმა 13,57 ლარი მიიღო, კაპიტალურმა შემოსავლებმა კი მხოლოდ 5,17 მილიონი ლარი მოიტანა, რაც მიუთითებს, რომ საპრივატიზებო გარიგებებიდან ოქტომბერში ხაზინაში მხოლოდ სიმბოლური თანხები შემოვიდა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემოსავლების ზრდა თითქმის ყველა პარამეტრში აშკარაა: 2005 წლის 10 თვის განმავლობაში მობილიზებული მთლიანი შემოსავლების მოცულობა შარშანდელს 46 პროცენტით (610,3 მილიონით) აღემატება, ცალკე აღებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობა კი შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე 32,5 პროცენტით (350,9 მილიონით) მეტია. საგრძნობი ზრდა არის კონკრეტული თვის პარამეტრშიც: შარშან ოქტომბერში მობილიზებული მთელი შემოსავლები 141,4 მილიონ ლარს შეადგენდა წლევანდელ 179,4 მილიონის საპირისპიროდ (ზრდა 38 მილიონი ანუ 26,9 პროცენტია), ცალკე აღებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობა კი წლევანდელ ოქტომბერში შარშანდელს 32 მილიონი ლარით (2004 წელს - 128,7 მილიონი ლარი, წლეულს - 160,7 მილიონი), ანუ 24,8 პროცენტით აღემატება.

რაც შეეხება მობილიზებული შემოსავლების შინაარსობრივ ჭრილს, აქ ტენდენცია, პრაქტიკულად, უცვლელია. სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტი ერთი სახეობის გადასახადით (დღგ) ივსება, სამი სახეობის გადასახადი (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) ბიუჯეტის შემოსავლების სამ მეოთხედზე მეტს (76,6 პროცენტს) უზრუნველყოფს, სოციალური დაზღვევის გადასახადი კი საბიუჯეტო შემოსავლების 22 პროცენტს უყრის თავს.

ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროდ კვლავაც რჩება დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლიდანაც ბიუჯეტში 10 თვის განმავლობაში 774,6 მილიონი ლარია შესული (აქედან ოქტომბერში 92,1 მილიონი). ეს კი ცენტრალურ ბიუჯეტში მთლიანად მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების 54,2 პროცენტს შეადგენს. თან, საგულისხმოა, რომ ეს მაჩვენებელი შეუქცევადად იზრდება (წინა თვის მონაცემებით, დღს-ს ხვედრითი წილი ერთიან გადასახადებში 53,8 პროცენტი იყო) და, ალბათ, კიდევ მოიმატებს, ვინაიდან ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა ნავარაუდევია, ძირითადად, სწორედ იმპორტირებულ პროდუქციაზე დღგ-ს დარიცხვის ნაწილში.

ბიუჯეტის შევსების მეორე სოლიდურ წყაროდ კვლავაც აქციზი რჩება. მის წილად განვლილ 10-თვიან პერიოდში 222,8 მილიონია მობილიზებული (მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 15,6 პროცენტი). ოქტომბერში აქციზით ბიუჯეტმა 23,2 მილიონი ლარის შევსება მიიღო, რაც, ტრადიციისამებრ, გადასახადების სახეების მიხედვით ბიუჯეტის შევსების სიდიდით მეორე მაჩვენებელია.

მესამე "საპრიზო" ადგილი კი, ტრადიციულად, საბაჟო გადასახადს უკავია. განვლილ 10 თვეში ამ გადასახადიდან ბიუჯეტმა 97,9 მილიონი ლარი მიიღო, აქედან 11,5 მილიონი - ოქტომბერში. აღსანიშნავია, რომ წინა 9 თვეში (იანვარ-სექტემბერი) საბაჟო გადასახადიდან, საშუალოდ, თვეში 9,6 მილიონი ლარი შემოდიოდა. მოსალოდნელია, რომ ოქტომბრის მსგავსად, წლის ბოლო ორ თვესაც საბაჟო გადასახადიდან შემოსავლები აქამდე არსებულ საშუალო მაჩვენებელზე მეტი იყოს, ვინაიდან ბიუჯეტის უკანასკნელი კორექტირებისას გაზრდილი საშემოსავლო პარამეტრი სწორედ საბაჟო დეპარტამენტის ხაზით დაიგეგმა. ჯერჯერობით კი საბაჟო გადასახდის წილი მთლიან გადასახდებში 6,8 პროცენტის დონეზე რჩება.

სოცდაზღვევის გადასახდის სახით ბიუჯეტში 10 თვეში 314,7 მილიონი ლარია შესული (საერთო საგადასახადო შემოსავლების 22 პროცენტი). ამ კუთხით ოქტომბერში 33,7 მილიონის მობილიზება მოხდა (თვის შემოსავლების 21 პროცენტი). ბიუჯეტში შეტანილი თანხების სიდიდის თვალსაზრისით სოციალური გადასახადის მაჩვენებელი მხოლოდ დღგ-ს პარამეტრს ჩამოუვარდება და დაახლოებით იმდენივეს შეადგენს, რამდენსაც აქციზი და საბაჟო გადასახადი - ერთად აღებული.

ხაზგასასმელია, რომ ოქტომბერში შემცირებულია არასაგადასახადო შემოსავლებიდან მიღებული თანხის ოდენობა. თუ 9 თვის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 215,9 მილიონს შეადგენდა, რაც თვეში, საშუალოდ, 23,9 მილიონი ლარის მობილიზებას გულისხმობს, ოქტომბერში ამ წყაროდან ბიუჯეტმა მხოლოდ 13,6 მილიონი ლარი მიიღო.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ისევე როგორც წინა თვეებში, ამჟამადაც სერიოზული პრობლემებია ბიუჯეტში გაწერილი ხარჯების დაფინანსების მხრივ. ოქტომბერში გაწეული ხარჯების მოცულობამ 210,3 მილიონი ლარი შეადგინა, რითაც ჯამურად 10 თვეში გაწეული ხარჯების ოდენობა 1 მილიარდ 980 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი შარშანდელი 10-თვიანი პერიოდის მაჩვენებელს მთელი 86 პროცენტით (თანხობრივად 915,5 მილიონი ლარით) აღემატება. წლევანდელ ოქტომბერში გაწეული ხარჯიც გაცილებით სოლიდურად გამოიყურება, ვიდრე შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში დახარჯული თანხა (210,3 მილიონი 123,6 მილიონის ნაცვლად, ზრდა - 70,1 პროცენტი).

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბიუჯეტის წლიური ხარჯვითი პარამეტრი 2 მილიარდ 826 მილიონ ლარს შეადგენს, ოქტომბრის ჩათვლით დაჯამებული მონაცემები მიუთითებს, რომ წლის ბოლო ორ თვეში 846 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯია გასაწევი, ანუ საშუალოდ თვეში 423 მილიონი ლარის მცულობის ხარჯი უნდა იქნას გაწეული. და ეს მაშინ, როცა განვლილ 10 თვეში საშუალო თვიური ხარჯი 200 მილიონ ლარს არ აღემატებოდა.

შესაბამისად, შექმნილი მდგომარეობა საკმაოდ მანკიერ ჩაკეტილ წრეს ქმნის: ან წლის ბოლომდე უნდა მოხდეს ყველა გაწერილი ხარჯის დაფინანსება, რაც მიმოქცევაში 850 მილიონამდე ლარის გაშვებას და, შესაბამისად, ინფლაციური პროცესების წახალისებას ნიშნავს, ან უნდა მოხდეს გარკვეული ხარჯების დაფინანსებისგან თავის შეკავება, რაც ბიუჯეტის კანონის დარღვევას ნიშნავს, ან განხორციელდეს სეკვესტრი.

რაც შეეხება უკვე გაწეულ ხარჯებს, აქედან, ტრადიციულად, ისევ გაურკვეველი რჩება ე.წ. "სხვა ხარჯების" კატეგორიით დახარჯული თანხების მიზანშეწონილობა და გამჭვირვალობა. ოქტომბერში ამ მაჩვენებელმა 17,6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთელი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯების 8,3 პროცენტს შეადგენს. განვლილი 10 თვის განმავლობაში კი ამ მუხლით 175,1 მილიონი ლარია დახარჯული, რაც მთლიან ხარჯების 8,8 პროცენტის და ამ სოლიდური ხარჯის შესახებ საზოგადოებას არავითარი მეტ-ნაკლებად დეტალიზებული ინფორმაცია არ გააჩნია.

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე **6%** წლიური აშშ დოლარში და **8%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ **10%** წლიური დოლარში და **13,5%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე

მოკლედ

## "ბენფიკა" ფეხბურთელებს კარგავს

პორტუგალიის "ბენფიკას" მეკარე კიმმა ხელი დაიზიანა და ის ამ დღეებში გერმანიაში გაემგზავრება, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის. რაც შეეხება გუნდის კაპიტან სიმაო საბროსას ის ექიმთა ვერდიქტს ელოდება და შესაძლოა, ტრავმის გამო ფეხბურთელმა ერთი თვე გამოტოვოს.

## მანიშე ესპანეთისკენ იმზირება

მოსკოვის "დინამოს" პორტუგალიელი ფეხბურთელი მანიშე მიიჩნევს, რომ მისი მადრიდის "ატლეტიკოში" გადასვლა პრობლემური არ იქნება. "მე მინდა "დინამო" დავტოვო - ესპანელ ჟურნალისტებს განუცხადა პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველმა - მე ვიცი, რომ "ატლეტიკო" ჩემით ძალიან არის დაინტერესებული. მადრიდში გადასვლით მეც დაინტერესებული ვარ. თუმცა, ახლა ყველაფერი მოსკოვის "დინამოს" ხელმძღვანელობის ხელშია.

"მე არ მომწონს რუსული ფეხბურთი - დაამატა მანიშემ - მსურს უფრო დინამიური ფეხბურთი ვითამაშო. ვფიქრობ მადრიდში აკლიმატიზაციას სწრაფად გავივლი". მეორეს მხრივ პორტუგალიური პრესა იუწყება, რომ მანიშეს "ატლეტიკოში" გადასვლის საკითხი ჩიხში მოექცა, რადგან მოსკოველებმა გაიხსენეს, რომ ფეხბურთელი 16 მილიონი ევრო დაუჯდათ.

## ოლივეირა ბრაზილიაში იმკურნალებს

სევილიის "ბეტისის" ბრაზილიელი ფორვარდი რიკარდო ოლივეირა სამშობლოში გაემგზავრა, სადაც მას ტრავმირებულ მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ. ოლივეირამ გამოხატა სურვილი, რომ მკურნალობის მთელი კურსი სამშობლოში გაიაროს. მისი ვარაუდით ახლობლებისა და ნათესაობის გარემოცვაში მას ბევრად უფრო გაუიოლდება იმ ტრავმის მკურნალობა, რომელიც ფეხბურთელს ნახევარი წელია აწვალებს.

## სტეფანოვიჩმა "სოსიედადი" გააძლიერა

სლოვენიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა დალიბორ სტეფანოვიჩმა ესპანეთის "რეალ-სოსიედადთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. 21 წლის ფეხბურთელი, რომელიც სლოვენიის "დომჟალეს" ქვეყნის ჩემპიონატში ლიდერის პოზიციის მოპოვებაში დაეხმარა, ბასკურ კლუბს იანვარში შეუერთდება. "ესპანეთში თამაში ჩემი ოცნებაა" - განაცხადა სტეფანოვიჩმა, რომელიც "რეალ-სოსიედადში" 2010 წლამდე დარჩება.

## პერენი "პორტსმუთს" დაემშვიდობა

ფრანგი სპეციალისტი ალენ პერენი დაემშვიდობა ინგლისური "პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელის პოსტს, სადაც მხოლოდ შვიდი თვის განმავლობაში იმუშავა. შეგახსენებთ, რომ "პორტსმუთმა" 13 მატჩის შემდეგ 10 ქულა დააგროვა და ინგლისური პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში მე-17 ადგილზე იმყოფება.

გასაჭირში ჩავარდნილი გუნდის მწვრთნელობის სურვილი უკვე გამოთქვა ცნობილმა ინგლისელმა სპეციალისტმა ბობი რობსონმა. მან თქვა, რომ მზად არის სათავეში ჩაუდგეს "პორტსმუთს". "მზად ვარ ნებისმიერი სამუშაო შევასრულო - განაცხადა 72 წლის მწვრთნელმა - ჩემი ასაკის მიუხედავად, თუ მწვრთნელობას შემომთავაზებენ, მზად ვარ ვიმუშავო. მე მიყვარს მინდორზე ყოფნა".

## ლუშემბურგო რჩება

ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგო აგრძელებს მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის ფუნქციების შესრულებას. ასეთია "სამეფო კლუბის" დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ხუთშაბათ გვიან ღამით შეიკრიბა. ამასობაში გადაწყდა, რომ 30 დეკემბერს გაიმართება ამხანაგური მატჩი მადრიდის "რეალსა" და "ატლეტიკოს" შორის, რომელიც მადრიდის "ატლეტიკოს" ყოფილი პრეზიდენტის ხესუს ხილის ხსოვნას მიეძღვნება. შეგახსენებთ, რომ "ატლეტიკოს" სკანდალური პრეზიდენტი 2004 წელს გარდაიცვალა.

## კრიშტიანუ რონალდუს გაუპატიურებას არ დასწამებენ

"მანჩესტერ იუნაიტედის" შემტევ ნახევარმცველ კრიშტიანუ რონალდუს არ დაადანაშაულებენ ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში გოგონას გაუპატიურებაში. განაცხადა სკოტლანდ იარდის წარმომადგენელმა. მისი თქმით, რონალდუს წინააღმდეგ საქმის წარმოებისთვის სათანადო მტკიცებულებები არ არსებობს.

"მანჩესტერ იუნაიტედის" შემტევი ნახევარმცველი ოქტომბრის ბოლოს გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს. მაშინ ფეხბურთელი თავდებით გაათავისუფლეს. რონალდუ საკუთარი ნებით გამოცხადდა პოლიციაში, სადაც დააკავეს და დაკითხეს 20 წლის გოგონას ჩვენების საფუძველზე, რომელიც ფეხბურთელს გაუპატიურებაში სდებდა ბრალს. გოგონას თქმით, მან რონალდუ ვესტ-ენდის ერთ-ერთ ღამის კლუბში გაიცნო. ამის შემდეგ წყვილმა სასტუმროს მიაშურა, სადაც რონალდუმ გააუპატიურა 20 წლის გოგონა.

## "ევერტონი" თავდასხმას გააძლიერებს

ლივერპულის "ევერტონის" მთავარმა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა განაცხადა, რომ იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნის პერიოდში მის კლუბს სურს ფორვარდი შეიძინოს. წლევანდელ სეზონში "ევერტონმა", რომელმაც შარშან ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანა. კლუბს 12 შეხვედრაში მხოლოდ სამი გამარჯვება აქვს მოპოვებული. ამის გამო ლივერპულური კლუბი გასავარდნ ზონაში იმყოფება.

"წლევანდელ სეზონში გატანილი გოლების მხრივ პრემიერლიგაში ყველაზე უარესი შედეგი გვაქვს - განაცხადა მოიესმა - ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ჩვენი უმთავრესი პრობლემაა და "ევერტონის" თავდასხმა გაძლიერებას საჭიროებს". მოიესმა ისიც დაამატა, რომ კლუბის სატრანსფერო ინტერესთა თვალსაწიერში მეკარის შეძენაც შედის.

## რაფაელ ნადალი პირველი იქნება

"როლან გაროსის" ტრიუმფატორი, მსოფლიოს მეორე ჩოგანი რაფაელ ნადალი პირველ ნომრად განითესა ჩენაის ტურნირზე, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება. ეს ახალგაზრდა ესპანელი ჩოგბურთელის მეორე ვიზიტი იქნება ჩენაიში. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს კარლოს მოიაც, რომელმაც აქ უკვე ორჯერ მოახერხა გამარჯვება. პარადორნ შრიჩაპხანი კი, რომელმაც ჩენაის ტურნირი 2003 წელს მოიგო, შეეცდება თავისი მიღწევა მომავალ წელსაც გაიმეოროს.

**ახალ მისამართზე გადასვლის გამო გაცნობებთ, რომ ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში არ იმუშავებს ამა წლის 23 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე.**

**ამა წლის 2 დეკემბრიდან საელჩო გაიხსნება შემდეგ მისამართზე: თელავის ქ.N 20, "სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი" (შესასვლელი უკანა მხრიდან, ბრიტანეთის საელჩოს ყოფილ ტერიტორიაზე)**

ფეხბურთი

# „დინამო" და „სიონი" წინ მიიწევენ

ლაშა კობერიძე

საქართველოს ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს "თბილისი" და "ამერი" დაუპირისპირდა. მიუხედავად ანგარიშისა - 0:0, თამაში მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველი ნახევარი ორმხრივ იერიშებში წარიმართა. უკვე 5 წუთზე "ამერელ" დავითაშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ ოდნავ ააცილა. "თბილისმა" მაშინვე შეტევით უპასუხა. კვასხვაძე ორ მცველს გასცდა და საჯარიმოში წააქციეს, მაგრამ არბიტრმა 11-მეტრიანი არ დანიშნა. მან თავისი შეცდომა 21 წუთზე "გამოასწორა", როცა ხელით თამაშისთვის არც მასპინძელთა კარში დანიშნა პენალტი. ამის შემდეგ ორივე გუნდს შეეძლო გოლის გატანა. თბილისელთაგან ლილუაშვილმა და კვასხვაძემ ვერ ივარგეს, "ამერიდან" კი დეკანოსიძემ და დავითაშვილმა. მეორე ნახევარში "ამერმა" იგრძნო, რომ შეიძლება ქულები დაეკარგა აშკარა აუტსაიდერთან და თავიდანვე შტურმზე გადავიდა. თბილისელებმა კი უკან დაიხიეს და კონტრშეტევებზე თამაშობდნენ. 47-ე წუთზე დავითაშვილი რამდენიმე მცველს გასცდა და დეკანოსიძეს უპასა, მისი დარტყმა კი ოდნავ ასცდა თბილისელთა კარს. მასპინძლებმა მაშინვე შეტევით უპასუხეს. როსტომაშვილი ორ მცველს გასცდა და დაარტყა, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ კვლავ "ამერი" უტევდა. ერთმანეთის მიყოლებით მომენტები დეკანოსიძეს, დავითაშვილს და კოშკაძეს ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მიუხედავად სტუმრების დიდი უპირატესობისა გამარჯვება "თბილისს" შეეძლო. მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე, შეტევაში გართული "ამერი" მასპინძლებმა კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. კვარაცხელია მეკარესთან პირისპირ გავიდა და დაარტყა, მაგრამ სასწაულებრივ ააცილა. საბოლოოდ - 0:0 და ამერი საგრძნობლად ჩამორჩა თავის კონკურენტებს.

თბილისის "დინამომ" საკუთარ მოედანზე "სოხუმს" უმასპინძლა. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო მასპინძელთა კარნახით წარიმართა. მიუხედავად დიდი უპირატესობისა თბილისელებმა პირველ ნახევარში ერთ ბურთზე მეტი ვერ გაიტანეს. გოლი 25-ე წუთზე მეგრელაძემ გაიტანა. განსაკუთრებით აქტიური იყო "დინამოს" ფლანგები, საიდანაც ნავალოვსკი და ალადაშვილი მეტოქის მცველებს მოსვენების საშუალებას არ აძლევდნენ. მეორე ნახევარი პირველის ანალოგიურად წარიმართა. "დინამო" უტევდა და "სოხუმი" თავს იცავდა. სტუმრებს მთელი თამაშის განმავლობაში ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. "სოხუმიდან" მეკარის გამოყოფა შეიძლება, რომელმაც რამდენიმე მომენტში გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. 49 წუთზე ანგარიში 2:0 გახდა, როდესაც ნავალოვსკის ჩაწოდებულს დვალიშვილმა თავი დაუხვედრა. სტუმრები ვერაფრით ახერხებდნენ "დინამოელთა" შეჩერებას და კიდევ ორი გოლი მიიღეს საკუთარ კარში. ალადაშვილის ფლანგურ გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, იქ კი ყველას მეგრელაძემ დაასწრო და დუბლი შეასრულა. მატჩის საბოლოო ანგარიში ბობოხიძემ მეტად ლამაზი გოლით დააფიქსირა. მან მოედნის ნახევარი გადაკვეთა, გზად ორი მცველი ჩამოიშორა და გატანა აღარ გასჭირვებია - 4:0. ამ გამარჯვებით "დინამო" სატურნირო ცხრილში "სიონს" და "ჯორჯიას" წამოეწია, რომელთაც მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება.

ტურის სხვა თამაშებიდან აღსანიშნავია "ბორჯომი" - "დილას" დაპირისპირება, რომელიც მეტად დაძაბულად წარიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით 4:3 დამთავრდა. "სიონმა" შინ "ტორპედო" დაამარცხა - 3:1 და ქულებით "ვიტ ჯორჯიას" გაუთანაბრდა, რომელმაც ასევე შინ "ბათუმთან" უგოლო ფრე ითამაშა. "კოლხეთმა" სტუმრად "ცხინვალი" დაამარცხა ანგარიშით - 3:1, ხოლო "ზესტაფონმა" საკუთარ კედლებში "კახეთი" გაანადგურა - 4:0. ტურის კიდევ ერთი მატჩი დღეს გაიმართება. ერთმანეთს "სპარტაკი" და "ლოკომოტივი" დაუპირისპირდებიან.

# „პოკერი"

ანდრეი შევჩენკო ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, ვინც გასვლით მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. ეს რეკორდი ორი დღის წინ დამყარდა სტამბულში, სადაც "მილანი" "ფენერბახჩეს" სტუმრობდა. უკრაინელმა ფორვარდმა თურქებს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა და თავის გუნდს მშრალი ანგარიშით გაამარჯვებინა.

"ეს ჩემს მილანურ კარიერაში გამორჩეული ფურცელია. "მილანის" მაისურით ერთ მატჩში პირველად გავიტანე ოთხი გოლი. ამ გამარჯვებას ჩემს ოჯახს და ჩემს მეგობრებს ვუძღვნი", - განაცხადა ევროპის 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა.

ჩემპიონთა ლიგაში გოლების გატანა შევჩენკოსთვის უცხო ხილი ნამდვილად არ არის. 1997-98 წლების სეზონში, ჯერ კიდევ კიევის "დინამოს" შემადგენლობაში, თანაც სახელგანთქმულ "ნოუ კამპზე", მან პირველივე ტაიმში "ჰეთ თრიკი" გაიფორმა. მაშინ კიეველებმა "ბარსელონაზე" სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს, თანაც, გამანადგურებელი ანგარიშით 4:0.

"ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ჩვენ ბრწყინვალე თამაში ჩავატარეთ და ის, რომ გოლები გავიტანე, მარტო ჩემი დამსახურება ნამდვილად არ არის. მადლობას ვუხდი ჩემს პარტნიორებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ამისთვის. ჩვენ ძალზე სახიფათონი ვიყავით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. თურქები მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდნენ, ბევრს გვიტევდნენ, ზონებს ტოვებდნენ და კონტრშეტევებისას მეტი თავისუფალი სივრცე გვქონდა", - თქვა მატჩის შემდეგ უკრაინის ნაკრების თავდამსხმელმა.

ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების სტამბულურ ფინალში შევჩენკოს მიერ გამოუყენებელი პენალტი გადამწყვეტი აღმოჩნდა, რამაც "მილანს" ჩემპიონთა თასი დააკარგვინა. ამის მიუხედავად, "შუქრუ სარაჩოღლუს" არენა შევჩენკოში ძირითადად დადებით ემოციებს აღძრავს. თითქმის ერთი წლის წინ შევჩენკოს "დუბლის" წყალობით უკრაინის ნაკრებმა თურქეთი მისსავე მოედანზე დაამარცხა. ეს გამარჯვება კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ყვითელ-ლურჯების მიერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების საქმეში. "სტამბულის ეს სტადიონი ჩემთვის იღბლიანია", - განაცხადა შევჩენკომ.



*შევჩენკო მეხუთე ფეხბურთელია, ვინც "პოკერი" შეასრულა.*

უკრაინელ ფორვარდს უგოლო სერია საკმაოდ გაუგრძელდა. "ფენერბახჩემდე" შევჩენკომ ბოლოს თვეზე მეტი ხნის წინ – 16 ოქტომბერს გაიტანა გოლი, შემდეგ კი ქუსლის ტრავმა მიიღო და მცირე ხნით შესვენება მოუწია. თავდამსხმელის თქმით, მან ჯერ ვერ მოახერხა სათამაშო კონდიციების სრულად აღდგენა: "მატჩის დროს ორჯერ ისე ამტკივდა ქუსლი, რომ კინაღამ შეცვლა მოვითხოვე. თუმცა, ასეთი დონის მატჩში მონაწილეობისთვის ტკივილიც უნდა დაივიწყო."

29 წლის შევჩენკო "მილანის" ფეხბურთელებს შორის პირველი არ არის, ვინც ევროტურნირებში "პოკერი" შეასრულა. 1962-63 წლების სეზონის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ტურნირში ხოსე ალტაფინმა "ლუქსემბურგის" კარში ხუთი გოლი გაიტანა. მაშინ "მილანმა" 8:0 მოიგო. 20 წლის შემდეგ, 1992 წლის 25 ნოემბერს მარკო ვან ბასტენმა "სან სიროზე" "გეტებორგს" 4 გოლი გაუტანა.

"მიხარია, რომ გავიმეორე ისეთი ლეგენდარული ფეხბურთელის მიღწევა, როგორიც ვან ბასტენია. თუმცა, უფრო დიდი სიამოვნებით გავიტანდი თითო გადამწყვეტ გოლს ოთხ მატჩში, ვიდრე ოთხ გოლს – ერთ თამაშში", - თქვა შევჩენკომ. აღსანიშნავია ისიც, რომ 53 გატანილი გოლით შევჩენკო მოქმედ ფეხბურთელთა შორის ევროტურნირების საუკეთესო ბომბარდირია.

**აქვე გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ერთ მატჩში ოთხი გოლის გამტან ფეხბურთელთა სიას**

| | | |
|---|---|---|
| **მარკო ვან ბასტენი** "მილანი" – "გეტებორგი" | 4:0 | 25.11.1992 |
| **სიმონე ინძაგი** "ლაციო" – "მარსელი" | 5:1 | 14.03.2000 |
| **დადო პრსო** "მონაკო" – "დეპორტივო" | 8:3 | 5.11.2003 |
| **რუუდ ვან ნისტელროი** "მანჩესტერ იუნაიტედი" – "სპარტა" | 4:1 | 3.11.2004 |
| **ანდრეი შევჩენკო** "ფენერბახჩე" – "მილანი" | 0:4 | 23.11.2005 |

# გარდაიცვალა ჯორჯ ბესტი!

59 წლის ასაკში გარდაიცვალა ბრიტანული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ჯორჯ ბესტი. "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების მოთამაშე ლონდონის ერთ-ერთ ჰოსპიტალში გამოეთხოვა წუთისოფელს.

თავიდან ბესტი ლონდონის ჰოსპიტალ Cromwell-ის რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს. დიაგნოზი სურდოს სიმპტომები იყო, რომელიც შემდგომში თირკმლების ინფექციაში გადაიზარდა. ნოემბრის დასაწყისში ყოფილი ფორვარდის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ გასულ კვირაში ლეგენდარულ ფეხბურთელს ფილტვის ინფექცია აღმოაჩნდა და ექიმები კვლავ შეშფოთდნენ მისი ჯანმრთელობის გამო. ცხოვრების დიდი ნაწილი ჯორჯ ბესტმა ალკოჰოლიზმთან ბრძოლაში გალია. 2002 წელს კი მას თირკმლის გადანერგვა გაუკეთეს.

ჯორჯ ბესტი, რომელიც ბელფასტში დაიბადა ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად არის აღიარებული.



1960-იან წლებში ის იყო "მანჩესტერ იუნაიტედის" წამყვანი ფეხბურთელი და იმ პირველი თაობის სიმბოლო, რომელსაც თავისი სტატუსით შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ პოლიტიკისა და მუსიკის სამყაროს სახელოვანი წარმომადგენლებისთვის. "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ბესტმა ორჯერ მოიგო ინგლისის პრემიერლიგა, ხოლო 1968 წელს ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა. თავის დროზე, ჟურნალისტთა ვერსიით ჯორჯ ბესტი ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და "ოქროს ბურთიც" მოიგო. თუმცა, ფეხბურთელმა, რომელსაც ყოველთვის უჭირდა საკუთარ პოპულარობას გაძლოლოდა, საფეხბურთო კარიერა დროზე ადრე დაასრულა. ჯორჯ ბესტის კარიერის საუკეთესო წლები ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების არცთუ ისე წარმატებულ ეპოქას დაემთხვა, ამიტომ მას ერთხელაც არ უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატზე. თუმცა, ჯორჯ ბესტმა ეროვნულ ნაკრებში გამართულ 37 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა.

ტელეკრიტიკა

# საიუბილეო კვირა „წითელ" ეკრანზე

ნინია კაკაბაძე

send to list – ასეთი პროგრამა აქვს თითქმის ყველა მობილურ ტელეფონს, რომელიც ერთსა და იმავე ტექსტს ერთდროულად რამდენიმე მისამართზე აგზავნის. საიუბილეო კვირის დასაწყისში წამყვან ტელეარხებზე, რომელთაც მეტ-ნაკლებად ჰყავს მაყურებელი, ამგვარი შეტყობინება მივიდა: – "ამ კვირაში ვერთობით და ვზეიმობთ". ეს ვერსია, რასაკვირველია, მიღებული ინფორმაციის და საკუთარი თვალით ნანახის შედეგად, ჩემს მიერ უტრირებულია. შესაძლებელია, შეტყობინება არა SMS-ით, არამედ უშუალო სატელეფონო საუბრით შედგა, მაგრამ ერთი ცხადია: - უკანასკნელი კვირა, ვარდების რევოლუციის ორი წლისთავი, ყველამ ერთად ვიზეიმეთ; ხელისუფლებამ, ხალხმა, მედიამ... იმას, რასაც ვზეიმობდით, ანუ ახალი ხელისუფლების და ქვეყნის წარმატებებს, რომელიც ამჯერად, რატომღაც ,მხოლოდ 16 იყო, აღარ გავიმეორებ. ეს წარმატებები გამრავლების ტაბულასავით თუ საქართველოს ჰიმნივით უკვე აუცილებლად დასაზეპირებელი არის. ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ. ჩვენ მხოლოდ იმ წარმატებაზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომელიც ბუკლეტში ვერ აღმოჩნდა, მაგრამ მთელი ერთი კვირის მანძილზე ჩვენს თვალწინ იყო. და რა არის ეს?!

**მზე.** "მოგვიტევეთ ირაკლი იმნაიშვილის ცოდვები", "შეგვიწყალეთ და გვაპატიეთ", "დაგვეხმარეთ", "ჩვენ თქვენი მონები ვართ", "მოგვეცით საშუალება, გემსახუროთ", "მოგვეცით საშუალება, დაგიმტკიცოთ ჩვენი ერთგულება", "მოგვეცით საშუალება, გვიყვარდეთ"... ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, 23 ნოემბერს ტელეკომპანია "მზე" ეთერში არ გასულიყო და ეკრანზე მონაცვლეობით მხოლოდ ამ ფრაზებს ეტრიალა. ტელეკომპანიის თანამშრომელთა მხრიდან, ეს გაცილებით შთამბეჭდავი და ღირსეული ქმედება იქნებოდა. თუმცა, პირფერობის ამ გულწრფელ ნაბიჯზე "მზემ" უარი თქვა და გადაწყვიტა, გაცილებით რთული, ძვირადღირებული და ყალბი პათეტიკით გაჯერებული ხერხებით ემოქმედა. "აბა, შევამოწმოთ, მართლაც დიდი და ნაღდია ჩვენი ხელისუფლების მიღწევები?! გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება - რამდენ ხანში მოვა?" წარმოიდგინეთ, რომ სასწრაფო დახმარება რამდენიმე წამში იქ აღმოჩნდება. "აბა, ახლა ვნახოთ, როგორ იკვებებიან მიუსაფარი მოხუცებულები". რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, შესანიშნავ პირობებში, შესანიშნავი მოხუცები, არაჩვეულებრივად გემრიელ კერძებს მიირთმევენ. "ვინ თქვა, რომ ათასობით მოხუცი შიმშილობს დღეს საქართველოში?! ცხოვრება მართლაც მშვენიერია, როდესაც გვყავს მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის მმართველად და ძმანი მისნი ჩვენზედ მოამაგენი და მოფიქრალნი. აბა, ბატონი ბესო ჯუღელი რას გვეტყვის, როგორ მოგვილოცავს იუბილეს, რას დაამატებს ჩვენს ისედაც უკიდეგანო ბედნიერებას?!" მთელი დღე, შესვენების გარეშე, ცოცხალ ეთერში მაყურებელი ცოცხლად უყურებდა და აფასებდა ჩვენს მიღწევებს. მართლაც უსაზღვროა ბედნიერების განცდა, როდესაც ასეთი ტელეკომპანია, ასე ენერგიულად ცდილობს საკუთარი თავის რეაბილიტაციას.

უკანასკნელი ხნის მანძილზე, მას შემდეგ, რაც არსებობას წყვეტს გადაცემა "არჩევანის ზღვარზე", ისედაც ნაკლებ რეიტინგული არხი, სატელევიზიო სტატისტიკაში, რეიტინგის ფურცლიდან საერთოდ იკარგება. დადის ხმები, რომ ტელეკომპანია სხვადასხვა სახის გასართობ-შემეცნებით გადაცემებს და სერიალებს ამზადებს. ერთი ან ორი გადაცემის ამარა დარჩენილი მაყურებელი, მაინც უკეთესი მომავლის იმედით ელის განახლებულ სატელევიზიო ბადეს. როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ამ არხის მომავალი ფუნქციონირების საკითხი. საიუბილეო დღესასწაულზე, აგონიაში მყოფი არხი, უკანასკნელ ამოსუნთქვას აკეთებს და ჩემი მოკრძალებული აზრით, სამუდამოდ კვდება.

**მაგრამ** ყველაზე სავალალო სხვა არის, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი...

**იმედი.** დღევანდელ დღეს, როგორც ყველაზე "თავისუფალი" არხი, მეტ-ნაკლებად ახერხებს, ზომიერების შეგრძნება არ დაკარგოს და მოჩვენებითად მაინც ცდილობს, ობიექტური მაუწყებლის სტატუსი შეინარჩუნოს. მაგრამ, შეტყობინება "ამ კვირაში ვერთობით და ვზეიმობთ" მათაც მიიღეს. ამიტომ, იმედის ავტორებსაც ეკრძალებათ მაშინ, როდესაც თოქ-შოუ "პირველების" ეთერში ხელისუფლების წარმომადგენლებს ვიწვევთ, მოვიწვიოთ მათი ოპონენტებიც. მაყურებლისთვის ამგვარ პირობებში გაცილებით მარტივი იქნება გავიგოთ, რომელი წარმატებაა სინამდვილეში ნამდვილი და რომელი მიღწევაა ხელისუფლების მოგონილი და შეთითხნილი. მაგრამ ის, რომ ცალმხრივი პროპაგანდა, საკითხის ცალმხრივად განხილვა, იმ ერთი მხარის სასიკეთოდ მოქმედებს, ესეც ცხადია. დაკვირვებული მაყურებელი შეამჩნევდა, რომ გრიგოლიას გადაცემებში მისული SMS-ებში, რომელიც მორბენალ სტრიქონში მიდის, და რომელიც ძირითადად ყოველთვის ხელისუფლებისადმი კრიტიკულ ხასიათს ატარებს, ამჯერად პოზიტივი აშკარად ჭარბობს. არც ისეთი სულელია ჩვენი ხელისუფლება, ეს რომ არ იცოდეს – ტელევიზიას უდიდესი როლი მიუძღვის მისდამი ნდობის მოსაპოვებლად. ამიტომ, მიუხედავად გადაცემის წამყვანის კრიტიკული შეკითხვებისა, სამშაბათს საღამოს (ოქრუაშვილი, ლომაია, ბურჯანაძე, ბარამიძე, ჩარკვიანი) მინისტრები, სახელმწიფო მოხელეები თუ პრესატაშეები მათ სასარგებლოდ, კიდევ რამდენიმე გარანტირებულ ქულას იწერენ.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ საზოგადოება, ამ შემთხვევაში მაყურებელი, მიდრეკილია ხელოვნურად შექმნილი კომფორტისაკენ და თანახმაა, მიიღოს თუნდაც ილუზორული ბედნიერება. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ – თუკი უკრაინული "ნარინჯისფერი რევოლუციის" ერთი წლისთავზე საზოგადოება თავს ვალდებულად თვლის, ახალ ხელისუფლებას შეახსენოს ყველა დაპირება და წინსვლა მოთხოვოს განვითარებისაკენ, ქართული საზოგადოება მხოლოდ "ლაზერ შოუთი" ტკბება და თვლის, რომ ვარდების რევოლუცია ერთჯერადი გამარჯვება იყო, რომელიც ყოველწლიურად ასე პომპეზურად უნდა აღვნიშნოთ. ყველა ივიწყებს და არ სურს იფიქროს, რისთვის მოხდა ეს მნიშვნელოვანი ფაქტი და რომ - არა მხოლოდ ფაქტით უნდა დავტკბეთ, არამედ გარდატეხით, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უკეთესი მომავლისაკენ წაგვიყვანს. ასეთ დროს, ნებისმიერ წლისთავზე, ორი წლისთავზე თუ 10-წლიან იუბილეზე საზოგადოება ყველაზე კრიტიკული უნდა იყოს, და ჩვენც და ხელისუფლებამაც პირველ რიგში იმ საკითხებზე უნდა ვისაუბროთ, რომელიც გასაკეთებელი გვაქვს და რომელიც ჯერ კიდევ უდიდეს პრობლემად რჩება. ასეთი კი, სამწუხაროდ, მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ ბევრია.

**რუსთავი 2.** მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა თანამედროვე საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხია. მაგრამ, რა ხდება ამ დროს?! ეკა ხოფერია მის საავტორო გადაცემაში "მთავარი თემა" წამყვან ტელეჟურნალისტებს ეძახის და **ტკბილი მოგონებების** საღამოს გვიწყობს. რასაკვირველია მესიჯი – "არავითარი წუწუნი, მხოლოდ კმაყოფილება" - ხოფერიასაც მიუვიდა. ამიტომ "გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" ცდილობს, საკუთარი გამარჯვება კიდევ ერთხელ შეახსენოს მოსახლეობას. ვიდრე, ჩემს მწუხარე თუ კრიტიკულ მოსაზრებას მოგახსენებდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ მეც ერთ-ერთი ვარ იმ მრავალრიცხოვან ადამიანთა სიაში, ვინც "რუსთავი 2"-თან ერთად თავს გამარჯვებულად თვლიდა. მაგრამ, ორი წლის შემდეგ გამარჯვება სრულ ვარდნაში წავიდა და აშკარა დამარცხებად რომ იქცა - ესეც ცხადია.

და რა არის ყველაზე სამწუხარო?! გადაცემის მსვლელობის დროს, როდესაც სრულდება ტკბილი მოგონებების ჟამი, წამყვანი აღნიშნავს, რომ – "არ არსებობს მსოფლიოში მედია, რომლის მუშაობითაც ხელისუფლება კმაყოფილი იყოს". ჩვენს დღევანდელ მაგალითზე, ამას ასე გადაჭრით ვერ ვიტყვით! ვინაიდან, ორი წლის შემდეგ, როდესაც მედიამ და კერძოდ ზემოხსენებულმა ტელეკომპანიამ მართლაც რადიკალური ცვლილებები შეიტანა ქვეყნის მომავალში, ანუ მისი გავლენა უსაზღვრო იყო, დღეს ის საკუთარ პრობლემებზე გაკვრითაც კი ვერ ახერხებს საუბარს. იმას, რომ დღეს ქართული მედია მისთვის იდეალურ მდგომარეობაში არ იმყოფება და მას ვერაფრით დავარქმევთ მეოთხე ხელისუფლებას, მხოლოდ იმ არხის წარმომადგენლები ამბობენ, რომელთაც მეტნაკლებად ეძლევათ საშუალება კრიტიკული მოსაზრებებიც წარმოადგინონ და თავად იყვნენ კრიტიკულები. მაგრამ, თარგამაძე იქვე აღნიშნავს, რომ თუკი არსებობს ტელეკომპანია "იმედი", ეს ნიშნავს, რომ არსებობს თავისუფალი მედია. კი ბატონო, არსებობს ბადრი პატარკაციშვილი, რომელსაც მრავალი ინვესტიცია აქვს ჩადებული მრავალ სფეროში, და თუკი ვეღარ იარსებებს ტელეკომპანია "იმედი", ინვესტიციის გარეშე დარჩება "ფუნიკულიორიც", სპორტის მრავალი სახეობა და სპორტსმენებიც, ცირკიც და კიდევ მრავალი სხვა. პატარკაციშვილი საქართველოში საკუთარი ფულით არის მოსული და ასე ადვილად მას ვერ "დააყაჩაღებენ", როგორც სხვა ქართველ "საქმოსნებს". ამიტომ მისი მომდურება ჯერ ჩვენს ხელისუფლებას არ ულირს, ამიტომაც არსებობს ტელეკომპანია "იმედი".

ხოფერია კი წარსულს იხსენებს და ამბობს, რომ შევარდნაძის პერიოდში, როგორც კი არხზე ახალი კრიტიკული გადაცემის შექმნა იგეგმებოდა, მათკენ მაშინვე გეზს იღებდა ფინანსური პოლიცია თუ პროკურატურა. მერწმუნეთ, თუკი დღეს მსგავსი გეგმები იქნება, ფინანსური პოლიცია არც ახლა დააყოვნებს მათთან მისვლას. მაგრამ სხვაობა წარსულ დროსა და დღევანდელ დღეს შორის ერთია. მაშინ გამბედაობა დიდი იყო, მოსულ პროკურატურას წინ არა მხოლოდ "რუსთავი 2"-ის თანამშრომლები, არამედ ხალხი დახვდებოდა, დღეს კი მათ დასაცავად - არავინ მივა. ფინანსური დარღვევები კი ალბათ, როგორც რევოლუციამდე, ასევე რევოლუციის შემდეგაც იქნება. აღარ არსებობს ხალხის ნდობა, რომელიც ამ ტელეკომპანიის მთავარი სტაბილურობის გარანტი თუ ბერკეტი იყო. აქედან გამომდინარე, როდესაც რევოლუციის იუბილეზე ჟურნალისტი მის კოლეგებს იწვევს, მხოლოდ ტკბილი მოგონებებით ცდილობს შემოიფარგლოს და არაფერი თქვას, თუნდაც მინიშნებით, იმ პრობლემებზე, რომელიც მის წინაშეა.

გასაკვირი არ არის, რომ გურამ დონაძე დღევანდელი მედიით და საერთოდ არსებობით კმაყოფილია. პირადად მე მასთან პრეტენზია არ მაქვს, მისი არჩევანია პოლიციური ჟურნალისტიკა და მის მორალურ თუ პროფესიონალურ ფასეულობებზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ.

პატარა დეტალი: "ვარდების რევოლუციის" – ამ სახელწოდების ავტორი ნათია ზამბახიძეა, ეს მის თამანშრომლებს შეუმჩნეველი რჩებათ, მანამდე, ვიდრე მისი, სხვა ტელეკომპანიის წარმომადგენელი კოლეგები არ აღნიშნავენ ამას. რიგი და რიგი მოსაზრებების გამო, რთული იქნება ეს ჟესტი "გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის" თავმდაბლობას მივაწეროთ.

საკვირველი კი ის არის, რომ გადაცემაში ზამბახიძეც დუმს. პატარა გადახვევა, ვიდრე წამოწყებულ თემას გავაგრძელებდეთ. ინგა გრიგოლიამ ხოფერიასთან სტუმრობისას აღნიშნა, რომ მისი გადაცემები ჯერ "პირველ არხზე", შემდეგ კი "მზეზე" დახურეს. რამდენიმე ხნის წინ, მასთან პირად საუბარში შევიტყვე მიზეზი; ორივე შემთხვევაში მიზეზი ერთია - "რეიტინგი გაქვს დაბალი", - ეუბნებოდნენ მას და ამის შედეგად ხურავდნენ გადაცემას. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ არ გახლდით მისი ერთგული მაყურებელი, ვერაფრით დავაბრალებ, რომ ოდესმე მის გადაცემას მაყურებელი აკლდა. მაგრამ, მაშინდელი ხელმძღვანელობისგან წაყენებული უსაფუძვლო და აბსურდული ბრალდება მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მისი გადაცემები დაეხურათ. და, აი რას მოვაყოლე და რატომ გავიხსენე ეს ფაქტი?! ნათია ზამბახიძეს გასული წლის იანვარში იგივე მიზეზით გადაცემას უხურავენ, რომელიც კვირას, საღამოს 9 საათზე გადიოდა "რუსთავი 2"-ის ეთერში. ამის შემდეგ მას სხვა, საავტორო გადაცემის მოფიქრებას და მომზადებას სთავაზობენ. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ზამბახიძის სახით ჩვენს წინაშე – "კურიერის" რიგითი ჟურნალისტია. თუმცა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ის ქართული ტელევიზიის სინამდვილეში ყველაზე ჭკვიანი, განათლებული, მცოდნე და პროფესიონალია. მაგრამ, არა არხის ხელმძღვანელობას, არამედ ჩვენს ხელისუფლებას არ უყვარს პროფესიონალები და განსაკუთრებით არ უყვარს ისინი მის კუთვნილ სტრუქტურებში. ამიტომ, მისი პროფესიონალიზმის ზენიტში მყოფ ზამბახიძეს, სავარაუდოდ, დღევანდელ დღეს ყველა საფეხურის თავიდან ავლა მოუწევს. სამწუხაროდ, ჩემში, როგორც მის მეგობარსა და გულშემატკივარში, ეს პერსპექტივაც ეჭვს იწვევს. უკანასკნელ ხუთშაბათს, ნათია ზამბახიძე არა თუ საკუთარ გამოცდილებაზე, არამედ ზოგადად მედიაში არსებულ პრობლემებზეც კი ვერ ამბობს ვერაფერს. ვერაფერს ამბობს სოფო მოსიძე, იმ არხის წარმომადგენელი, სადაც ცენზურა ყველაზე მკაცრად გატარდა. ყველაფერი ეს კი ერთმნიშვნელოვნად ხელისუფლების გამარჯვებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ის განსაკუთრებული პომპეზურობით აღნიშნავს რევოლუციის ორი წლისთავს – "ყველაფერი კარგად არის, ვისაუბროთ მხოლოდ გამარჯვებებზე!"

**P.S.** გულდასაწყვეტი ერთია. ხუთშაბათს გადაცემაში "მთავარი თემა" შესაძლებელი იყო რადიკალური ცვლილებების მოხდენა. შეკრებილ წამყვან ჟურნალისტებს ჰქონდათ უნიკალური შანსი, ერთად, ხმამაღლა ესაუბრათ იმ პრობლემებზე, რომელიც ყველაზე მეტად მათთვის არის ხელშესახები. ამის შედეგად კი ისინი კიდევ ერთი გამარჯვების, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარდატეხის ავტორები იქნებოდნენ. მაგრამ სამწუხარო რეალობა ის არის, რომ დღევანდელ მედიაში არ არსებობს ერთიანობა, კოლეგიალობა, თავდაჯერებულობა, უკომპრომისობა და არსებობს მხოლოდ ერთი - მხოლოდ კონფორმიზმი!





## სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია "BP"-ს მილსადენის პროექტების ფარგლებში და "BP"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის მოკლევადიანი თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში "BP"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "BP"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი პასუხისმგებელია, დახმარება აღმოუჩინოს კომპანიაში მომუშავე პერსონალს სხვადასხვა სახის პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის მიზნით, როგორიცაა Microsoft Windows 2000, Microsoft Office 2000 Professional, მათ შორის Word, Excel, Power Point და MS Access.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

IT ინჟინრის ზოგადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
2. სამუშაო ადგილის ოპერაციული სისტემისა და ადგილობრივად ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება.
3. უახლესი ვერსიის კლიენტ-პროგრამების ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურაცია და მომსახურება
4. ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალირება და კონფიგურირება საჭიროებისამებრ ყველა სამუშაო ადგილზე.
5. სამუშაო ადგილებზე ოპერაციული სისტემების თავდაპირველი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
6. დახმარების აღმოჩენა ჯგუფის წევრებზე პროგრამებით სარგებლობაში და ოფიციალური და არაფორმალური ტრეინინგების ჩატარება.
7. დაეხმაროს მომხმარებლებს ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში საჭიროებისამებრ სხვა ჯგუფებთან შეთანხმებით.
8. განახორციელოს სხვა მოვალეობები საჭიროებისამებრ.

**გამოცდილება და განათლება**

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

1. სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის სფეროში
2. ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების უმაღლეს დონეზე ფლობა
3. უნდა გააჩნდეს მოტივაცია და ოფისის მომთხოვნ და დინამიურ გარემოში მუშაობის უნარი
4. ადამიანებთან კომუნიკაციის შესანიშნავი უანრ-ჩვევები
5. პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის მზადყოფნა
6. სისტემატიურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისების და ეფექტურად გამოყენების უნარი
7. **დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება:** სტრუქტურული და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
8. **ზეგავლენა:** პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
9. **სამუშაოს კომპლექსურობა:** სხვადასხვა სახის დავალებების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კონსულტაციის გარეშე.
10. **აუცილებელი უნარ-ჩვევები:** შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, განაწილების და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური ურთიერთობის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.
11. **საინფორმაციო ტექნოლოგიების ზოგადი ცოდნა:** IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდიკის, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც მიიღებთ იმავე მისამართზე. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2005 წლის 30 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38
BP საქართველო
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
**კადრების განყოფილება**

# იხვის ტოლმა

ქალისა და მამაკაცის ინსცენირებული ლიტერატურა

სოფო კილასონია




მოგეხსენებათ, სამი დღის წინ სამშაბათი იყო. სამშაბათი ანუ მორიგი შეკრება ლიტერატურულ კაფეში. შეკრება იმ ადამიანებისა, რომლებსაც ლიტერატორები, მწერლები, მკითხველები და უბრალოდ კარგი ჩაის მოყვარულები უნდა ვუწოდოთ. იმ საღამოს კაფეში მისულმა საზოგადოებამ და თავად იქაურობის მთავარმა მასპინძელმა ბატონმა ლაშა ბუღაძემ არა ერთ, არამედ, ორ მწერალს უმასპინძლა. ეს შემთხვევა მის ორიგინალურ გადაწყვეტილებას კი არა, არამედ "იხვის ტოლმას" უნდა დავაბრალოთ – ახალ ლიტერატურულ ქმნილებას, რომელსაც ორი ავტორი ჰყავს და ორმაგი ენით, ქალისა და მამაკაცის ენით, ქალისა და მამაკაცის ხასიათითა და განსხვავებული რიტმითა და ემოციით საუბრობს.

რატომ დაარქვეს "იხვის ტოლმა" და არა, ვთქვათ, "ერთხელ მათ ცხოვრებაში" ანდა "გასეირნება გაგრის სანაპიროზე"? ეს კითხვა ბევრს აწუხებდა სამშაბათს და ალბათ მას შემდეგაც აწუხებს, ოღონდ ზუსტად არ ვიცი, რამდენად გახდება სათაური წიგნის პოპულარობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ის კი გავიგე, რომ გადამწყვეტი სახელწოდებაში ტოლმაა და არა იხვი. ტოლმა იმიტომ, რომ ნაწარმოების შუალედური ტექსტი ბესო ხვედელიძეს ეკუთვნის, წინასიტყვაობა და დასასრული კი – მაკა მიქელაძეს. ამ უკანასკნელს კი ხვედელიძის ნაწილი გემრიელ ხორცად აღუქვამს და საკუთარი ფუნქცია ამ ხორცის კომბოსტოში ლამაზად შეხვევაში დაუნახავს. თუმცა, მოვასწარი რა წიგნის სანახევროდ წაკითხვა, მივხვდი, რომ ამ ორი მწერლის შედარებით მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. მათ თანაბრად გაუნაწილებიათ რომანში ქალისა და მამაკაცის ფუნქციები, ზუსტად ისე, როგორც ცხოვრებაში ხდება ხოლმე. ერთი ამბისა და ისტორიის ორი განსხვავებული მონოლოგი.

მაკა მიქელაძე საკმაოდ გულღია და საინტერესო წერილით იწყებს. წერილს გამომცემელს, როგორც ირკვევა, ბაკურ სულაკაურს სწერს. მისი "უბასილევსობა" მწერლის ბავშვობისა და ახალგაზრდობის მოგონებადაა წარმოდგენილი. ფსიქიატრი ქალბატონი ფრაგმენტულად ყვება საკუთარ თავგადასავალს, რომელიც პაციენტ მამაკაცს უკავშირდება და წერილის ადრესატს ოდნავ იდუმალი, თან ჯანმრთელი და თანაც დაავადებული ადამიანის პროზაულ ნაწარმოებს – წმინდა ქართულ ვირუსს "უგზავნის". კოკა ინანიშვილის როლს ინსცენირებულ "ლიტერატურულ პროექტში" უკვე ბესო ხვედელიძე თამაშობს. ქალბატონი ფსიქიატრის წერილს კი ფსიქიურად დაავადებული მამაკაცის დღიური ენაცვლება. ოდნავ მელანქოლიურ, შესაძლოა ძალიან ინტიმურ და რომანტიკულ მანერას ხვედელიძისეული ბევრად მარტივი, პირდაპირი და ხანდახან ხისტი ტექსტები ეჯახება.

ბესო ხვედელიძემ მითხრა, რომ შემთხვევა, ერთ ნაწარმოებს ორი ავტორი წერდეს, ქართულ სივრცეში უპრეცედენტოა: "ეს ნაწარმოები რომ იქმნებოდა, იმთავითვე დადგა საკითხი: მას უნდა გაემთლიანებინა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა. მე ჩემს თავზე ვერ ავიღებდი დამეწერა ქალის მხრიდან და მისი თვალით შემეხედა ამ ისტორიისთვის. ეს ხომ შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც თავდაპირველად, როცა იდეა დამებადა, თანამშრომლობისთვის მაკა მიქელაძეს მივმართე. ნაწარმოები სამი ნაწილისგან შედგება: ფსიქიატრის შესავალი, პაციენტის ნაწილი და ბოლოსიტყვაობა, რომელშიც გაშიფრულია ჩემი ტექსტი. ნაწარმოებში ვწერთ იმაზე, თუ როგორი სიტუაცია ვითარდება ფსიქიატრიულში, როგორი ურთიერთობა მყარდება პაციენტ მამაკაცსა და ექიმ ქალს შორის. ძირითადად იქაურ სიტუაციებზეა საუბარი, რომლებშიც მაკას ყოველდღიურად უწევს ყოფნა."

ფსიქიატრი მწერლის მოთხრობები გამხდარა მიზეზი იმისა, რომ ხვედელიძემ საავტორო უფლებები კიდევ ერთ ადამიანს გაუნაწილა.

მაკა მიქელაძე: "მოვიძიე სათანადო მასალა და დავადგინე, რომ ნათესავებს ერთობლივად უმუშავიათ, მაგრამ მეგობარ მწერლებს ერთი ნაწარმოები აქამდე არ დაუწერიათ – მსოფლიო ლიტერატურას ვგულისხმობ. ამიტომ ვეუბნები ხოლმე ბესოს, რომ ჩვენ მსოფლიო მოვლენის ავტორები ვართ."

რამდენად იოლია სხვა მწერალთან ერთად მუშაობა და როლების განაწილება?

"ძირითადად გაგვიჭირდა მის გარკვევა, თუ ვის მიჰყავს ურემი. ბესოს უნდოდა, როგორც ყველა ქართველ მამაკაცს, თავად წაეყვანა იგი. მე ვეთანხმებოდი, თუმცა ვთხოვდი ეთქვა, სად მივდიოდით. თავიდან ნამდვილად არ ჰქონდა ამაზე პასუხი, მაგრამ გზადაგზა მიზანი გამოიკვეთა."

რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ის განცდები და დამოკიდებულება, რომელიც წიგნშია ამ ორ ადამიანს შორის, რეალურად არსებობდეს?

"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პერსონაჟ პაციენტსა და ექიმს შორის არის უზარმაზარი სინაზე, ის ახლოსაც ვერ მივა იმ გრძნობებთან, რომლებიც ჩნდება ფსიქიატრებსა და მათ პაციენტებს შორის. მათ კიდევ უფრო მეტად უყვართ ერთმანეთი, ვიდრე პერსონაჟებს. ზღვარი ჩვეულებრივ ადამიანებსა და ამ პაციენტებს შორის კი ძალიან პირობითია. უბრალოდ, მათ ერთი აიღეს თავის თავზე, ჩვენ კი მეორე პოზიცია ვიკისრეთ. რა თქმა უნდა, არსებობს დაავადება, მაგრამ ხშირად ეს დაავადება არც არსებობს."

"იხვის ტოლმის" მომზადებაში კიდევ ერთმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გურამ წიბახაშვილი ამ ბოლო დროს უკვე მეორედ დაგვხვდა წიგნის პრეზენტაციაზე. თუ ზურაბ რთველიაშვილის "ანარქში" პორტრეტული ფოტოებით აგვიხსნა რაღაც-რაღაცები, ახლა ტექსტის ფოტოილუსტრაცია არჩია და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ახალი ხილი მრავალი ფოტოეპიზოდით შეამკო. "წიგნზე საუბარი არაა მთავარი. მთავარია იყიდოთ და წაიკითხოთ", – ასე დაგვემშვიდობა ბუღაძე სამშაბათ საღამოს. ჰოდა, თუ ყიდვის სურვილი გაგიჩნდებათ, აქვე გეტყვით, რომ "იხვის ტოლმა" ჯერჯერობით ყველგან თუ არა, ლიტერატურულ კაფეში მაინც დაგხვდებათ.

# ლაშა და რევოლუცია

**ლაშა ბუღაძე** - "დიალოგების" დღევანდელი სტუმარია მწერალი მამუკა ხერხეულიძე. უნდა აღინიშნოს რევოლუციის წლისთავი?

**მამუკა ხერხეულიძე** - ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რისთვისაც ქაქუცა იბრძოდა. ძალიან მნიშვნელოვანია ამ დღის აღნიშვნა. არ მინახავს კონცერტი, მაგრამ ვიცი კარგად ჩაიარა. ბალტიის ქვეყნების პირველი პირები ჩამოდიან ჩვენთან ზედიზედ, ეს მიანიშნებს იმას, რომ ჩვენ ვუახლოვდებით ჩვენს სასურველ მიზანს, როგორიცაა ნატოში გაწევრიანება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამიტომაც ვარ ასეთი ოპტიმისტი და ამიტომ მჯერა. ქაქუცას გადმოსვენებაც ეს იყო ნიშანი.

**ლაშა** - შეიძლება იყო კრიტიკული ამ ხელისუფლების მიმართ, მაგრამ არ შეიძლება იყო კრიტიკული ამ თარიღის მიმართ, რადგან შევარდნაძის და აბაშიძის ტანდემი ეს იყო, რბილად რომ ვთქვათ ძალიან მძიმე.

**მამუკა** - და ეს იყო ერთგვარად საბჭოეთის ეპოქის დამთავრება საქართველოში. მიდის პროცესი, პრობლემებიც იქნება, რადგან ჩვენ მენტალური პრობლემები გვაქვს.

**ლაშა** - უკრაინაში, როდესაც აღინიშნა რევოლუციის იუბილე, ის ხალხი, ვინც რევოლუციის დროს მოედანზე ათენებდა, საპროტესტო აქციებით გამოვიდნენ, რომ იუშენკომ დანაპირები უფრო ენერგიულად აღასრულოს. ჩვენთან ეს არ მომხდარა. რამდენად საჭიროა საზოგადოებამ დააფიქსიროს ამ დროს პროტესტი?

**მამუკა** - საქართველოს პირველი პრობლემაა რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვოს ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთის ჯარების გაყვანა. ის რომ ადამიანების რაღაც ჯგუფს ექნება თავისი აზრი, ეს ძალიან ბუნებრივი და ჯანსაღი მოვლენაა. ჰოლანდიაში, სადაც 13 მილიონი განათლებაზე იხარჯება ხალხი მაინც უკმაყოფილოა მთავრობით. წარმოუდგენელია ვიყოთ კმაყოფილი იმით, რაც გვაქვს. შენ კარგად იცი, ამაზე ხშირად გვისაუბრია, რომ ჩვენ არ გვყავს პროფესიონალები. ჩვენი აქციები თავისუფლების ინსტიტუტში პერმანენტულ ხასიათს ატარებს ციხეში არსებულ პრობლემებზე. თუმცა ამ კუთხით ვერადავერ მოხერხდა რაღაც წარმატების მიღწევა, თუმცა არიან მინისტრები, რომლებთანაც არანაირი პრობლემები არაა.

**ლაშა** - საშინელი პრობლემებია სასამართლო სისტემაში. შენი აზრით რა სფეროებში უნდა მოხდეს რევოლუცია და რა აფერხებს ამას?

**მამუკა** - სასამართლოს დამოუკიდებლობა საქართველოში არ ყოფილა. ეს არის დიდი ხნის ტრადიცია. აქ მოსამართლე არ არის დამოუკიდებელი. არის 367 მოსამართლე, რომელთაც ან ქრთამი აუღია ან თუ არ შეეშინდა აიღებს. 60-მდე კურსდამთავრებული გაგზავნილი არიან წარმატებულ უნივერსტეტებში. ეს ახალგაზრდები დაბრუნდებიან და იმედი მაქვს, რომ როდესაც ისინი მოვლენ, მაშინ მოხდება. თუმცა ზუსტად ვიცი, რომ სამოქალაქო საქმეები წყდება სამართლიანად. ჩვენ ძირითადად ვლაპარაკობთ ხოლმე სისხლის სამართალზე. მე ზუსტად ვიცი, რომ იქ ჩატარდა რეფორმა. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს კოტე კუბლაშვილის, რომელიც არის უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე, რომელიც არის ძალიან პრინციპული და კარგად ხედავს რა უნდა გააკეთოს სასამართლოში, მაგრამ უნდა მოხდეს მენტალური რევოლუცია. სანამ არსებობს რომ ვილაცამ უნდა მისცეს ფული, გამოჩნდება ამღებიც.

**ლაშა** - სახელმწიფოს ერთ-ერთ პოზიტივად ასახელებენ პატრულს. თქვენ ერთობლივ თავისუფლების ინსტიტუტის პრესკონფერენციებზე ხშირად ისმის ერთი და იგივე ოდიოზური გვარები. ვის წინააღმდეგაც ილაშქრებთ ობიექტური მიზეზების გამო. ის ოდიოზური გვარები, როგორც ვიცი, არის სისტემაში, რა უშლის ხელს, რომ ამ ადამიანების ფუნქციონალური ლუსტრირება მოხდეს?

**მამუკა** - ეს პრობლემები არ არის დღეს მოგოგნილი და არც ამ ორი წლის განმავლობაში. ეს პრობლემა არსებობდა. არსებობდა მანკიერი სისტემა, რომელიც გრძელდება და ინერციით მიდის ეს სისტემა. როგორც პროფესიონალები ამბობენ, აუცილებელია, ჯერ აშენდეს ახალი ციხის შენობა, რომელიც იქნება თანამედროვე. ორ ადგილას შენდება რუსთავში და ქუთაისში, რომელიც მალე ჩაბარდება, თუმცა იმ ადამიანებისთვის ვინც იქ არიან. ყოველი დღე და ყოველი წუთი არის გაუსაძლისი. მაგრამ არის კიდევ პრობლემა, ინტელექტუალური რესურსების არ არსებობა.

ამ სფეროებში, რასაც ძალოვანი სფეროები ჰქვია, 60 პროცენტი ძირითადად რუსეთის სპეცსამსახურების ხალხი იყო. რევოლუციური ძვრა მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, მე ვერ წარმოვიდგენდი თუ შეძლებდნენ ასე ჩქარა ამ პრობლემის გადაწყვეტას, რასაც კონკრეტულად პატრული ჰქვია.

# ამერიკელებმა რომის პაპზე ფილმი გადაიღეს



პარასკევს, 18 ნოემბერს ვატიკანში ახალი ამერიკული ფილმის პრემიერა შედგა, რომელიც აწგარდაცვლილი რომის პაპის იოანე პავლე მეორეს ცხოვრებას ასახავს.

ჯონ კენტ ჰარისონის ფილმი რომის პაპზე თავდასხმით იწყება, რომელიც 1981 წლის მაისში მოხდა. ფილმის თითქმის ნახევარი ეძღვნება იოანე პავლე მეორეს როლს საბჭოთა კავშირის დაშლაში. დარბაზი, სადაც პრემიერა შედგა მთლიანად შევსებული იყო, ის 6 ათას კაცს იტევს.

ფილმის დასრულების შემდეგ რომის პაპმა ბენედიქტ მეთექვსმეტემ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა.

ფილმი 3 სერიანია და ეკრანებზე დეკემბრის დასაწყისში გამოვა.

# დეივიდ ბოუი სერბი ფიზიკოსის როლს ითამაშებს



"ბეტმენის დასაწყისის" რეჟისორი კრისტოფერ ნოლანი იღებს ფილმს მე-20 საუკუნის ილუზიონისტებზე. ფილმი იქნება ეკრანიზაცია კრისტოფერ პრისტის რომანისა. ფილმში ერთ-ერთი ილუზიონისტი დახმარებისთვის სერბ ფიზიკოსს მიმართავს. ფიზიკოსის როლზე მიწვეულია ცნობილი როკ-მუსიკოსი დევიდ ბოუი, რომელსაც განსახიერებული აქვს მრავალი მთავარი თუ მეორეხარისხოვანი როლი. უკანასკნელად მან 2000 წელს "მისტერ რაისის საიდუმლოებებში" ითამაშა. მუსიკოსს პარტნიორობას გაუწევენ ჰიუ ჯეკმანი, კრისტიან ბეილი და მაიკელ კეინი.

სავარაუდოდ ფილმი, რომლის გადაღებაც 2006 წელსაა დაგეგმილი, 40 მილიონი დოლარი დაჯდება.





მარიონეტების თეატრი

3,4,10,11,17 და 18 დეკემბერი

"ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დამდგმელი რეჟისორი
რეზო გაბრიაძე
სპექტაკლის დასაწყისი
19 საათზე
იოანე შავთელის ქ.№26

CSL

სიახლე!
კავკასიისუნივერსიტეტში
(ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლა - CSB)

2006 წლის იანვრიდან პირველად ფუნქციონირებას იწყებს ახალი სამაგისტრო პროგრამა - "საჯარო და ინფორმაციული სამართალი LL.M". საგანმანათლებლო სერვისი განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო, ჟურნალისტიკის, ინფორმატიკისა და საბანკო საქმის ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტებისათვის. საბუთების მიღება იწყება 17 ნოემბრიდან.

ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:
ქ. თბილისი, 0175
კოსტავას ქ. 77 სტუ.VI კორპ. IV სართული.
ტელ: 941 691 364 680. მობ: 899 530 751
ფაქსი: 313 226
ელ.ფოსტა:info@csl.ge
ვებ.გვერდი:www.csl.ge
საკონტაქტო პირი:გიორგი ფირცხალაიშვილი

ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207